სახალხო გაზეთი

№ 686 ოთხშაბათი, 29 აგვისტო 1912 წ. № 686

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში--მორსკაია 11, ვარშავაში--მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში--ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. რედაქტორთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წლიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.

„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

დღესასწალისა გამო შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს, 31 აგვისტოს.

იმ ხელის მომწერთ

რომელთაც „გრდემლი“ ერგებათ და ჯერ არ წაუღიათ, ვთხოვთ ან წაიღონ რედაქციიდან ან გამოგზავნონ ფოსტის ხარჯად 30 კ. (შეიძლება მარკებით) რომ ადგილობრივ გაეგზანოთ.

სახ. გაზ. კანტორა.

კოტე ბაქრაძის

ჭირისუფალნი გულითად მადლობას სწირვენ ყველას, ვინც მათი გამოუთქმელი მწუხარება გაიზიარა და ამ უბედურობის გამო პირადად, თუ წერილობით მათ სამძიმარი გამოუცხადა. (1.1773.1)

ავლაბრის სახალხო თეატრი (მურაშკოსეული)

კვირას, 2 სექტემბერს, 1912 წ. ავლაბრის ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის მიერ **ვლ. ალექსი-მესხიშვილის** და **ვ. შალიკაშვილის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

ისმინე ისრაილ!

დრამა 3 მოქ., თარგ. ვ. შალიკაშვილისა.

მონაწილეობენ: ქ.ქ. აფხაზიშვილი, გიგოშვილი; ბ.ბ. სულთანიშვილი, ჯიბლაძე, კორძაია, კილოსანიძე, კულულაშვილი, თავდგირიძე და სხვ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე ანტრაქტებში დაუკრავს სიმებიანი მუსიკა.

რეჟისორი **ვლ. ალექსი-მესხიშვილი.** (3.1448.1) მორიგი გამგე **ზ. ფორაქაშვილი.**

მუშტაიდი

ხვალ 30 და 31 აგვისტოს და 1 ენკენისთვეს გაიმართება **უფასო**

სეირნობა

აჩვენებენ ახალ სურათებს, აუშვებენ მაშხალებს, გაიმართება სხვა და სხვა სათამაშოები. შესვლა უფასოა. დასაწყისი ნაშუადღევის 5 საათზე. (1.636.1)

საზაფხულო **ახალი კლუბი** თეატრი.

ხუთშაბათს 30 აგვისტოს,

ლოტბარ ს. ი. პრესმანის ბენეფისი,

სიმფონიური საღამო კ. ო. ვალენსკის (ტენორი), თამარა **ძნელაძის (მესკრიპკე)** და ქ-ნ **მ. დ. გედევანიშვილის (სოპრანო)** მონაწილეობით. დაწვრილებით პროგრამებში. დასაწყ. საღ. **9 საათ.**, თეატრში შესავლ. ფასი 1 მანეთი ან 50 კ. დე. სტუმრები კლუბში შესასვლელად იხდიან: კაცები 50 კ., ქალები, სტუდ. და საშუალ. სასწ. მოწაფენი 25 კ. ბილეთები უკვე იყიდება. (4—1445—4)

ტფილისის ქართული **ფილარმონიული**

საზოგადოების

სამუსიკო სკოლა

გადავიდა ახალ სადგომში, (კორგანოვის ქუჩაზე, ალ. გრ. რჩეულიშვილის სახლში № 6.

მოწაფეთა მიღება: ფორტეპიანოსა, სკრიპკისა, ვიოლონჩელისა, კონტრაბასის სიმღერა (solo), ელემენტარული თეორიის, ნოტების კითხვის (solfegio), გარმონიის, ენციკლოპედიისა და გუნდის **კლასებში დაიწყება 27 აგვისტოდან** ყოველ დღე, (კვირა-უქმის გარდა), დილის 10—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე სკოლის კანტორაში. სწავლის ფასი: ფორტეპიანოსა, ვიოლონჩელისა და კონტრაბასის კლასებში 65 მანეთი წელიწადში, სკრიპკისა და სიმღერა (solo), 65 და 5 მანეთი თეორეტიულ კლასებში 15 მანეთი წელიწადში. სწავლის ფული გადახდილ უნდა იყვეს ნახევარის წლობით.

მასწავლებელთა სია: ფორტეპიანოს კლასში: ქ-ნ მ. ამირეჯიბისა, ნ. კ. კალაშნიკოვისა, ო. მ. ბერგი-პივოვაროვისა, ე. ვ. ფოგელისა და თ. ს. შაბუროვისა; სკრიპკის კლასში: მ. ნ. ყარაშვილი და მ. ტ. ვასილიევი; ვიოლონჩელის კლასში: ე. ნ. კოპელნიცკი; კონტრაბასის კლ.: მ. ი. შერბოვი; სიმღერა (solo) ე. ბროჯი. თეორიის კლასებში და ნოტების კითხვა ზ. პ. ფალიაშვილი.

ახლად მოწვეულ იქმნენ მასწავლებლებად: პეტერბურგის კონსერვატორია დამთავრებული პროფ. დუბაროვის კლას. თავისუფალი ხელოსანი ელ. გრ. ქიქოძისა და მოსკოვის კონსერვატორია დასრულებული პროფეს. იგუმანოვის კლასში, თავისუფალი ხელოსანი ნ. ივ. ბაბასინოვისა

ხმების გასინჯვა, ქალთა და ვაჟთა, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, არსებულ ქართულ გუნდისთვის მოხდება ყოველ დღე 5—7 საათამდე საღამოთი.

პარაკლისი სწავლის დაწყების წინ 2 სექტემბერს. (10.1429.4

შავი-ქვის მრეწველთა საბჭო

ამით აცხადებს, რომ ჭიათურის ექვსკლასიან სამოქალაქო სასწავლებელში

არსდება სამთო-სატეხნიკო განყოფილება,

კავკასიის სამთო მრეწველობისათვის შტეიგერების მოსამზადებლად. ამ განყოფილებაში მიიღებიან ყმაწვილები არა უმცირეს 15 და არა უდიდეს 22 წლისა, სამოქალაქო სასწავლებელში, ან სხვა მის თანაბარ სასწავლებელში კურს დამთავრებულნი, რომელთაც **გამოცდიან რუსულსა, არითმეტიკასა და გეომეტრიაში.** ამ განყოფილებაში შესვლის მსურველნი უბრალო ქაღალდზე დაწერილ თხოვნებს გამოჰგზავნიან ჭიათურის სამოქალაქო სკოლის ინსპექტორის სახელობაზე, თან გამოაყოლებენ მოწმობას წლოვანებისას და ატესტატს, ან მოწმობას სამოქალაქო სასწავლებელში კურსის დასრულებისას.

თხოვნები მიიღება სექტემბრის ოცდა ხუთამდე.

გამოცდა მოხდება სექტემბრის 27 და 28. მეცადინეობა დაიწყება ოკტომბრის პირველს.

(2.1470.2)

ქ. შ. წერ.-კითხვ. გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობა აუწყებს, რომ დაუვიწყარის მგოსნის

ილია ჭავჭავაძის

ტრაგიკულად გარდაცვალების ხუთის წლის თავზე, ოთხშაბათს, 29 აგვისტოს, ქვაშვეთის ტაძარში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი განსვენებული **პოეტის სულის მოსახსენებლად, 30 აგვისტოს, ხუთშაბათს, პანაშვიდი წიწამურაში, იმ ადგილას, სადაც ილია იქმნა მოკლული.**

(1.1475 1)

შეიძლება დაკვეთა:

ილია ჭავჭავაძის თხზულებანი

ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა

ლექსი და ბელეტრისტული ნაწარმოები,

(აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაირთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto.

ფასი 8 მანეთი, რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 100 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს; 10% დაეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორღანოვის ქუჩა, № 20, **ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან; და წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში.**

ტფილისში აგენტად დანიშნულია ნიკოლოზ ლონგინოზის ძე კავსაძე.

ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და იოსებ ოცხელთან.

ფოთში—იონა მეუნარგიასთან.

სამტრედიაში—ბ. ი. სტურუასთან.

სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან.

სოხუმში—ნიკო თავდგირიძესთან.

ჭიათურაში—წ. კ. გ. ს. ირ. დეკანოზიშვილთან.

თელავში—თამარ აბაშიძესთან.

ხონში—ეფროსინე ჭიჭინაძესთან.

ბაქოში—ილია აგლაძესთან.

ოზურგეთში—ექ. დიმ. ერისთავთან.

ერევანში—ელენე ვირსალაძესთან

ბათომში—ს. მდივანთან. კავკავში—სოფიო კალანდარაშვილთან. გორში—ნიკო ლომაურთან. ახალციხეში—როზალია ალელიშვილთან

ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით გამომცემლის სახელზე გზანის, მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია.

(3—153—3)

„ტფილისის ქართულ საამხანაგო

მომღერალ-მგალობელთა გუნდი“,

(დაარსებული 1910 წ.)

აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ მას ჰყავს **25—50 კაცამდის შემდგარი, ახლად შეკერილ საკუთარ ქულაჯებით გამოწყობილი გუნდი,** რომელსაც ლოტბარობს **მიხეილ კავსაძე.** გუნდი 1 **ენკენისთვიდან** განაგრძობს თვის მოქმედებას: ასრულებს საქართველოს ყველა კუთხის სიმღერებს და ეკლესიურ გალობას, მონაწილეობს კონცერტებში, სამუსიკო დილა-საღამოებზე და სხვ. როგორც ტფილისში, ისე პროვინციებშიაც. გუნდის მიწვევა, ახალ წევრთა მიღება და ყოველივე პირობების გაგება იკითხეთ: 1. გუნდის გამგეობის თავმჯდომარე **ნიკოლოზ ჭრელაშვილთან,** სადგ. მახლობ. ანდრეევის ქ., № 87. 2 მის ამხანაგ **ნოე ეგნატეს ძე ლეჟავასთან,** კვირაცხოვლის ქ., № 28, და 3. **მიხეილ კავსაძესთან,** ავჭალის მოედანი № 11.

ვაარსებთ ქართველ მუშათა მომღერალ გუნდსაც.

(10.1449.4) **გუნდის გამგეობა.**

ვასწავლი „ქართულ სიმღერა გალობას“,

მიღება და ჩაწერვა ყოველ დღე, შემდეგს დროსა და ადგილს.

ორშაბ., ოთხშ., შაბათობ. საღ. 5—7 ს. და კვირ. დღის 2—4 ს. ავჭალ. ქ., № 29. სამშაბათ., ხუთშაბათ., და პარასკეობით საღ. 5—7 ს., ავჭალის მოედანი, № 11. მიიღებიან: მოხელენი, უფრ. კლას. მოწაფენი, ნოქრები, მუშები, კერძო პირნი და სხ.

ვაარსებ აგრეთვე ქართველ მუშათა გუნდს.

(12.1435.11) იკითხეთ **მიხეილ კავსაძე.**

მიიღება ხელის მოწერა

„მოლიპულ გზაზე“ ანასტასია ერისთავ-ხოშტარიასი.

(რომანი)

600 გვერდამდე კარგ ქაღალდზე დაბეჭდილი წიგნი ხელის მოწერით ეღირება, მხოლოდ **ერთი მანეთი,** შემდეგ კი ფასი ერთი-ორად იქნება გადიდებული. შეიძლება დაკვეთა: ტფილისში—ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში; ქუთაისში—კანტორა „იმერეთში“ და თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში; გორში—გაზეთ „ქართლის“ კანტორაში და ი. კვალიაშვილის აფთიაქში, აგრეთვე კანტ. „იმერეთის“ ყველა პროვინციელ აგენტებთან და ქართულ წიგნების დამტარებელ ი. კერესელიძესთან. **ადრესი:** Гори, Анастасіи Хоштарія. (ამ შემთხვევაში ფულის გამოგზავნის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია).

(25—456—8)

ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭო

ჭიათურის სამოქალაქო სასწავლებლისათვის

იწვევს ინსპექტორს

უნივერსიტეტში საფიზიკო და სამათემატიკო ფაკულტეტ კურს დამთავრებულს. ჯამაგირად ექნება წელიწადში ორას თუმნამდე, მოწყობილი ბინა განათება-გათბობით. ვისაც ამ თანამდებობის მიღება ჰსურს, შესაფერის განცხადებით უნდა მიჰმართოს შავიქვის მრეწველთა საბჭოს ქუთაისში, სექტემბრის ხუთამდე. (3.1467.3)

ელექტრონისა და რენტგენის

სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. (წ.—1022—75)

ექიმი ს. ი. ბძელიშვილი

შინაგანი სნეულობისა და ვენერიულ ავადმყ. დილ. 9—11 საათ., საღ. 6—8 საათ. დიდუბე, საგურამოს ქ., (მუშტაიდის ბაღის შუაგულიდგან მარჯვნივ), № 21, ხრამელაშვილის სახლი. დღისით: 2—4 საათამდე. ბარონისა და ბაზრის ქუჩის კუთხე, № 14. (0—1411—34)

პირველ ენკენისთვიდან იხსნება ქ. ტფილისში

ჭრა-კერვისა

და აგრეთვე სხვა და სხვა ხელ-საქმის **სკოლა.**

მოწაფენი მიიღებიან წლოვანების განურჩევლად. მისამართი: იზმაილოვის შესახვევი, № 6. (3—1468—3)

საკანდიტრო და საბულკო — გრიგოლ საგანელოვისა

პუშკინის ქუჩაზე

აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ სექტემბრის ოცდა-სამიდან საკანდიტროსთან გავხსენით

საყავე,

სადაც შეიძლება მოიკითხოთ ჩაი, ყავა, შოკოლადი, კაკაო, რძე, მაწონი, ნაყინვი, ცხელ-ცხელი პიროჟკები და მადნეულიანი წყალი.

(2—1469—3)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ძსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

შინაგანი ავადმყოფ.	**ლამბაშიძე გ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. **ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10. **მაღალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მანსვეტაშვილი გ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
[illegible] ქალთა ავ. (ქირურგიული).	**მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტანტი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირადოვი რ. ზ.** (ყოველ დღე) 12—1.
საშობიარო ქალ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.
ბავშვების ავადმყოფ.	**ლამბაშიძე გ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 12½—12 ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. [illegible] ელექტ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.
ყურ. ყელ. და ცხვ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2. **თრემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3.
თვალის ავ.	**მუსხელიშვილი გ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენ. ავ.	**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wassermann.** რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; **„606“ წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ. 1010.104)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. გაზაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

ბ. ა. ბოპოვი ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11½.

შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით,

წამლობა „606“-ით.

(წლ—1018—66).

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედ. ქ., № 94, საფოსტო განყოფი. პირდაპირ.** (25—1178—900)

ექიმი შ. ა. მიქელაძე

იღებს **შინაგან და ბავშვ-ათა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., № 6.

ექიმი კბილისა ავასთუმანში

ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს. აგარაკი ტერ-მარქაროვისა. (0—1334—54)

ექიმი კბილისა და ღრძილებისა

პ. ა. ძაჯაია

იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 დიდუბე). (თ.—1049—130(

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დი. ქ.-ზე, № 3, ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

ახპიხოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.
მღებრიშვილი—შინაგ., ბავშვ.—ორშაბ. ოთხშ., პარასკ., კვირაობით 4—5 ს.
გრეიცი—თვალ. ავადმყ., ყ.-დღე 12-1 ს.
არგუთინსკი, შინაგ., ბავშვ. ყ.-დ. 10 ს. 1½ ს.
მონსე. ბავშ. და შინაგ. ავად. ორშ., ოთხ პარასკ. 2—3 საათ.
ნოვიცკი. ქალთა ავად., ყ.-დ. 1—2 ს.
კალამკაროვი. ქალ. ავად. ყ.-დღ. 12—1 სათ.
უკლადნიკოვი. შინაგ. ავად. სამშ., ხუთშაბ. 4—5 საათ.
თეთრაძე. სიფ., ვენერ., კან. ყ.-დ. 1—3 ს.
ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტროტერაპია, ყ.-დღე გარდა კ.-უქმისა 11½—1 ს.
რუდენკო. შინაგ. ავად. კონსულტანტი ხუთშ., კვ. 3—4 ს.
ველლოვზოროვი ქირურგ. ავად. ყოველ დღე, გარდა კვირ. დღ., 2—3 საათ.
ერმოლაევი—ბავშვ., შინაგან. ყ.-დღ. 1-2 ს.
ტერ-ნერსესოვი. ქირურგ. ყოველ დღე გარდა ხუთშ. 1—1½ ს.
იოსელიანისა ქალ. ავად., ორშ. ოთხშ., პარასკ., კვირ. 11—12 საათ.
ბესხერი შინაგ., ნევრ.-ავადმ. — სამშ., ხუთშ., შაბ. კვ. 2—3 ს.
ბაგდოევისა, კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.
ლიმონი. კბილ. ყ.-დღ. 10—11 ს.
გურგენიძე შინაგ., სამშ., ხუთშ. 4—5 ს.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606“-ს საღამოს 5—7 საათამდე.

კონსულტანტი ხირურგ. ავადმყ. დამსახურ. პროფეს. საიმპერ. სამხ. მედიკ. ავად. პროფ. მ. ს. სუბოტინი ორშ., ხუთშ. 3—4 საათ., წინდაწინვე ჩაწერით. (თ—1365. 26)

ექიმი ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულ. ავადმყოფ. დილის 9—3 საათ., საღამოს 7 ს., ბაქოს ქუჩა, № 12.

ექიმი ქალი კბილისა ნინო რცხილაძე
20 ივნისიდან მიიღებს ავადმყოფებს **ქ. თელავში.** 3—9 საათამდე

ექიმი ქალი დ. გ. საყვარელიძე.
იღებს ავადმყოფებს ქალისა და საბებიო. ნაშუადღ. 1—2 ს., საღამოს 5—6 საათამდე.
კიროჩნის ქუჩა, № 9.
(25.595.14)

ექიმი პ. არდაზიანი შინაგან და ბავშვებ. ავადმყ. (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმიქარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. 11—2 ს. საღამ. 5—7. (25.1045.187)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3, ს. გაბაშვილისა.

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალი ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა.

(წ. 1020 375)

ტფილისი 29 აგვისტო

მეხუთე წელიწადი.

ხუთშაბათს, 30 აგვისტოს შესრულდება ხუთი წელიწადი მას შემდეგ, რაც გიჟი-ქართველის მზაკვრულმა ხელმა ბარბაროსული ძალადობით მოსწყვიტა სამშობლოს მკერდს მისი ჭეშმარიტი მამა-მოამაგე, დიდი ილია. ოცდაათი აგვისტო—დღე ქართველი ერის გლოვა-გოდებისა მუდამ გონების თვალის წინ უნდა ედგას ყოველ ქართველს, ვით საშინელი სიმბოლო ეროვნული მძლეობის თვით მკვლელობისა და, როგორც უნუგეშო მოთქმა ძველი აღთქმის წინასწარმეტყველისა, რომელიც თავზე მტვერდაყრილი სტიროდა იერუსალიმის ნანგრევებზე.

ოცდა-ათი აგვისტო—ეს განკითხვის დღეა ყველა იმათთვის, ვინც გაპარტახებულ სამშობლოს ნიადაგზე ლამობს ტურფა ჯეჯილის აღმოცენებას და ქირისუფლური თმენით შესცქერის მისი თავ-თავის სიმწიფის ჟამს. ყოველ წელს, საბედისწერო 30 აგვისტოს, თითოეული ქართველი, ნებსითი თუ უნებლიეთი მონაწილე იმ გარდუვალი ეროვნული ტრაგედიისა, რომელიც წიწამურის მინდორზე დასრულდა, შიშის კანკალით უნდა აკვირდებოდეს წამებული მგოსნის განგმირულ შუბლს, რომელზედაც უტყუარი სისწორით აღბეჭდილი იყო უბედური ერის სასოების ქარაგმა, და ეკითხებოდეს თავის თავს: ჩემმა ცხოვრებამ და მოქმედებამ, ამ ხუთი წლის განმავლობაში სისხლის ახალი წინწკალი ხომ არ დააჩნია დიდი მოძღვრის ეკალნასობ შუბლსო!

დიახ, ასე უნდა ეკითხებოდეს თავის თავს დღეს ყოველი ქართველი, რომელიც დიდი მოძღვრის მიერ ნაანდერძევ სიტყვასა და საქმეს ეროვნული ცხოვრების ხატად და სახარებად სთვლის; ჩვენი დანაშაულის შემსუბუქება ქართველი ჯვარცმულის წინაშე მხოლოდ ის გარემოება იქნება, თუ მის ღვთიურ შუბლს ჩვენის უგვანო მოქმედებით კვლავ აღარ მივუმატებთ ახალს იარას, თორემ იმ საშვილი-შვილო დანაშაულს, რომელიც ჩვენი ეროვნული უგუნურებითა და სიბეცით 1907 წლის 30 აგვისტოს ჩავიდინეთ, ვერაოდეს ვერ გამოვისყიდით.

ქართული პრესა

ჩვენი გაზეთისა და „დილა“-ს შორის გამართულ პოლემიკის შესახებ „კოლხიდა“ სწერს:

„დილის“ პუბლიცისტებმა რომ ქვაგუნდა მიაყარეს „ქართლსა“ და „სახალხო გაზეთს“ არჩევნების შესახებ წერილების მოთავსებისათვის, ჩვენ აქ მოულოდნელს არას ვხედავთ. „სახალხო გაზეთმა“ თავის ერთ მეთაურში სისწორით დაახასიათა „ზაკავკაზსკაია რეჩის“ ჯგუფის ხალხი და მოიგონა აგრეთვე ის საქციელი, რომელიც ამათ გამოიჩინეს საქალაქო არჩევნების დროს, „დილას“, საპასუხოდ საბუთი რომ შემოლევია, იმეორებს იმას, რაც მრავალგზის მის წინაპრებს გადაუღეჭავთ და ამბობს: ეს გოთუელთა არმია არც ისე დიდიხანია სახალხოელებს ჰყავდათ ჩახუტებულიო. გვიკვირს სწორედ, რომ არ მოსწყინდათ ამ გაცვეთილი ფრაზის ამდენჯერ წამოყრანტალება. დასაძრახისი აქ რაა? „სახალხო გაზეთი“ მანამ იყო „ზაკ. რეჩის“ ჯგუფთან, სანამ ეს უკანასკნელი მის აზრებს იზიარებდა, მაგრამ „ზ. რ.“ იცვალა თუ არა ფრონტი, სახალხოელებიც იმ წამსვე დასცილდნენ. მართალს ამბობს მეპრესე, როდესაც სწერს: „სახალხო გაზეთი“ დღესაც იმ პოზიციაზე სდგას, რა პოზიციაზეც წინათ იდგაო. და ჩვენც დავსძენთ: თუ „ს. გ.“ ეხლა „ზაკ. რეჩის“ ჯგუფთან არ არის, ეს იმისი ბრალია, რომ ამ უკანასკნელმა მარჯვნით გადაიხარა და სახალხოელები, არ გაჰყვა“.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

„ზაკავკაზ. რეჩ“-ი, ორგანო ყველა უიდეალო და უმიზნო ინტელიგენტისა, გაბრაზებულია. რადგანაც პრინციპიალური კამათი ამისთანა გაზეთს ორგანიულად არ ეთვისება, ინსინუაციებით იბრძვის. აი, მაგალითად, რასა ვკითხულობთ „ზაკავ. რეჩ“-ის მე-197-ე ნომერში.

„დირიჟორის ჯოხი ჯერ ისევ ხელში უჭირავს ქართველ ხალხის ბოროტ სულს მ. ვ. მაჩაბელს, რომელიც ოსტატურად აწყობს თავის პირად საქმეებს და ჰრყვნის საცოდავ ახალგაზდობას, რომელიც შესდგება უმეტეს წილად ტფილისის სადგილ-მამულო ბანკის მამულების მოურავებისაგან. ამ მ. ვ. მაჩაბელის მიერ ჩაყენებულმა ახალგაზდებმა, რომლებმაც დიდი, მაგრამ სამწუხარო სახელი მოიპოვეს, თავის პატრონის ლოცვა-კურთხევით მოიკალათეს ქართულს ოდესღაც პოპულიალურსა და პატივცემულ გაზეთში“.

ეს მორიგი ინსინუაცია გამოცხვა მხოლოდ ჩვენი სახელის გასატეხად მაგრამ მიზანს კი ვერ აღწევს: მ. ვ. მაჩაბელს რომ ჩვენს გაზეთში თავისი კაცები არ ჩაუყენებია, ეს ყველამ იცის, მაგრამ „ზაკავკაზ. რეჩ“-ის ხელმძღვანელს რომ ხმოსნის სკამი ჭეშმარიტ რუსთა კავშირის წევრებმა ჩააბარეს, ამაზე მთელი ქალაქი ლაპარაკობს.

„ზაკავკ. რეჩ“-ს მარტო ეს არგუმენტი არა აქვს ჩვენს საწინააღმდეგოდ. იგი იმეორებს იმას, რაც რამდენჯერმე ითქვა პრესაში და რაზედაც კლუბის პოლიტიკოსები ლოტოს თამაშობის დროს გამართულ მასლაათში ამბობენ ხოლმე: ჩვენს წინააღმდეგ მხოლოდ „სახალხო გაზეთი“-ს ეხლანდელი თანამშრომლები ილაშქრებენ, წინანდელები, ამის მაყურებელნი, მხრებს იჩეჩავენო ტყუილად შეურაცხყოფას ნუ აყენებთ ჩვენი გაზეთის „წინანდელ“ თანამშრომლებს! იმათ არასოდეს არაფერი საერთო არა ჰქონიათ თქვენთან და მუდამ თავ-გამოდებით ებრძოდნენ ისეთს ელემენტებს, რომელნიც ეხლა „ზაკავკ. რეჩ“-ის გარშემო ფუსფუსებენ. პროგრესიულმა, წმინდა და სამშობლოსადმი უანგარო სიყვარულით გატაცებულმა ნაწილმა საზოგადოებისამ დიდი ხანია ზურგი გაქციათ და წავიდა თავისი ეკლიანი, მაგრამ უანგარო გზით. თქვენი გესლი, ნაღველი და ინსინუაციები ფეხსაც ვერ უცვლის იმათ, ვისაც შერჩენია იმედი, რომ გაივლის დღევანდელი დაცემის ხანა და საზოგადოების ნაძირალნი ისევ დაუბრუნდებიან იმ ჰაობს, საიდანაც გამოძვრნენ.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **პანაშვიდი ილია ჭავჭავაძის სულის მოსახსენებლად.** დღეს, 29 აგვისტოს, სახელოვან მამულიშვილის ილიას ტრაგიკულ გარდაცვალების მეხუთე წლის თავი შესრულდება. ამ დღეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობის თაოსნობით ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვის შემდეგ პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდის გადახდა განზრახული იყო განსვენებულის საფლავზე, მაგრამ ეს ამ ჟამად არ მოხერხდა, რადგანაც იქ ძეგლსა სდგამენ. ძეგლის დასრულების შემდეგ კვლავ გადახდილი იქნება პანაშვიდი განსვენებულის საფლავზე, დაახლოვებით ოქტომბერში.

◆ **წმ. შუშანიკის დღესასწაული მეტეხის ციხის ეკლესიაში.** გუშინ. წმ. შუშანიკის დღესასწაულის გამო მეტეხის ციხის ეკლესიაში მწირველი იყო საქართველოს ეგზარხოსი ინოკენტი ქალაქის სამღვდელოების თანამწირველობით. წირვას დაესწრნენ: გუბერნატორი ა. გ. ჩერნიავსკი, ქალაქის მოურავის მოადგილე თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი, სამოსამართლო უწყების წარმომადგენელნი, ციხის კომიტეტის წევრნი და სხვანი.

◆ პეტერბურგის ქართულ სათვისტომოსთან არსებულმა მგოსან **გრიშა აბაშიძის ნეშთის გადმომტანმა საგანგებო კომისიამ** მიიღო შემოწირულება: ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკიდან 500 მ., ქუთაისის ქალაქის გამგეობისაგან—100 მ.

გარდა ამისა საჩხერეში გამართულ საღამოდან დარჩა 125 მ.

◆ **სახალხო სეირნობა.** 30 და 31 აგვისტოს და 1 სექტემბერს მუშტაიდში გაიმართება სეირნობა კავკასიის ფერშალთა საურთიერთო დამხმარე საზოგადოების სასარგებლოდ. ბაღში შესვლა უფასოა. სეირნობა დაიწყება ნაშუადღევს 5 საათზე.

◆ **სახლის პატრონთა და ბინის დამქირავებელთა საზოგადოების** წესდება, რომელიც ამას წინად გუბერნატორმა დაამტკიცა, უკვე დაიბეჭდა და საზოგადოების წევრებსა და რედაქციებს დაურიგდა.

◆ **შეიპყრეს** ვასილ პეტრეს ძე ნესტრუევი, რომელსაც ამ სამის დღის წინად, ჩხუბის დროს, ივანე ივანეს ძე კუროპიატკინის სასიკვდილო დაჭრა ბრალდება.

◆ **სამამულიშვილო ომის დღესასწაული.** 30 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე, სახაზინო თეატრში სადღესასწაულო აქტი გაიმართება ტფ. საშუალო სასწავლებლების მოსწავლეთათვის,

—ამავ დღეს, დილის 11 საათზე, სახალხო სახლში კითხვები გაიმართება საქალაქო სკოლების მოსწავლეთათვის.

—ტფ. სასწავლებლებში სწავლის დაწყების წინად გაიმართება სალიტერატურო დილები სამამულიშვილო ომის შესახებ.

◆ **თავის მოკვლის განზრახვით** 27 აგვისტოს საწამლავი დალია ვლადიმირის ქუჩაზე, სახლში № 3 მცხოვრებმა ტიხონ ალექსანდრეს ძე იალოვეგინმა, რომელიც სამკურნალო დახმარების აღმოსაჩენად მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს.

◆ **უეცრივ გარდაიცვალა** ტფილისში პრიუტის (ტფ. მაზრა) მცხოვრები ირინა სოიუღლოვისა, 60 წლისა.

◆ **თავის ჩამოხრჩობა** 27 აგვისტოს დილის 11 საათზე თავის ბინაზე (ფეოდოსის ქ., 13) ჩამომხრჩალი იპოვეს ეკატერინე ვასილის ასული სამოილენკოვისა, 26 წლისა. როგორც გამოირკვა, ქალი ცუდს ყოფა-ქცევას ეწეოდა და ლოთობდა კიდეც. 20 აგვისტომდე იგი სცხოვრობდა თავის საყვარელ ალექსანდრე ივანეს ძე ბეჟიტაშვილთან, რომელსაც 20 აგვისტოს ქალისთვის თავი დაუნებებია და სადღაც წასულა. ქალის გვამი მიხეილის საავადმყოფოში წაიღეს.

◆ პეტერბურგის გაზეთების ცნობით ამ ახლო ხანში, მოხდება **სრულიად რუსეთის გამომცემელთა კრება.** კრებაზე სამი სექცია იქნება: წიგნისა, გაზეთისა და ჟურნალის გამოცემისა. კრებაზე მხოლოდ ამ საქმის ხალხი დაესწრება.

◆ 27 აგვისტო'ს ტფილის'ში 31 უპასპორტო შეიპყრეს.

◆ ტფილისში უკვალოდ დაიკარგნენ სვიმონ სოსნინი, 35 წლისა და ელიშე სიმონიანცი 15 წლისა.

დეპეშა.

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

შუშა

27 აგვისტოს, საღამოს 9 საათზე, ადგილობრივ კამანდის შტაბს კაპიტანმა **კონსტანტინე მაჭავარიანმა.** თავის ბინაზე **თავი მოიკლა** მიზეზი ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია.

ილია გ. ჭავჭავაძის ხსენება

(ხმა წიწამურიდან).

აგერ მეხუთე წელიწადია, რაც ჩვენი დამამშვენებელი მგოსანი ტრაგიკულად მოჰკლეს წიწამურის შარა გზაზე. შარშან ილიას მკვლელობის დღეს, 30 აგვისტოს, პანაშვიდს წიწამურაში ტფილისიდან ორი კაცი დაესწრო, ერთი გამგეობის წევრი წ. კ. გ. საზოგადოებისა და ერთიც სხვა, აქაურებიც ძალიან ცოტანი იყვნენ.

ნუ თუ არ უნდა შევიგნოთ ჩვენი ზნეობრივი მოვალეობა და მუხლი არ უნდა მოვიყაროთ ხოლმე ყოველწლივ ასეთ ადამიან ხსოვნის წინაშე, მას გოლგოთასთან?

საგურამოს ინტელიგენციის თაოსნობით, ხუთშაბათს, 30 აგვისტოს, წიწამურის შარა გზაზე გადახდილ იქნება პანაშვიდი განსვენებულ ილიას სულის მოსახსენებლად. განძრახულია, პანაშვიდს დაესწროს გლეხკაცობა და ინტელიგენცია ს. საგურამოსი, სახალ სოფლისა და ს. წიწამურის. იმედია, თუ შორიდან არა, ჩვენი ინტელიგენცია ტფილისიდან და მცხეთიდან მაინც ამობრძანდება, რითაც პატივს ცემენ დაუვიწყარს მგოსანს.

არ. რამინიშვილი.

აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში.

(შემდეგი.*)

წერილი მეთერთმეტე.

(ონში გამგზავრება და შესვლა)

პარასკევს, 27 ივლისს, დილის რვა საათზე წამოვდექით; მშვენიერი მზიანი დღე დაგვიდგა; მასპინძლის ეზოში ჩაის და ხაჭაპურებს შევექეცით. ათ საათამდე ეზო ხალხით აივსო; მგოსნის გასართობად ჩააბეს ფერხული ქალებმა ცალკე, კაცებმა ცალკე; უნდა შევნიშნო, რომ რამდენი ზევით და ზევით წავიწიეთ, იმდენი ფერხული უკეთესი და მოხდენილი იყო; იმღერეს აგრეთვე სვანური სიმღერები და გამართეს ეროვნული ცეკვა-თამაში. ჩაის დალევის შემდეგ დავათვალიერეთ სორში ძველი **ჯვარცმის ეკლესია** მეცხრე საუკუნეში აშენებული; ამ ეკლესიასთან ყოფილა დაარსებული ქალების სკოლა, სადაც თურმე სწავლობდა თამარ დედოფლის შვილის-შვილი; გვიჩვენეს იმ დროის ნაქარგი ძვირფასი გარდამოხსნა, ოლარი და ოდიკი, ჯვარი მოჭედილი ვერცხლით სიმაღლით ოთხი არშინი, ხელთ-ნაწერი წიგნები, ორი პატარა ვერცხლის სურა (ტაკუკი), მუზარადი, ძველებური ბუკი, სიგრძით ორი არშინი, რომლითაც ხალხს შეკრებდნენ ომიანობის დროს; კიდევაც დაუკრეს გარედ და გაგვაგონეს ხმა.

ეკლესიის გალავანში ეხლა შენობას აგებენ ორ-კლასიან სამრევლო სკოლისთვის.

თერთმეტ სახეზე ეტლებით გავემგზავრეთ სორიდან ონში.

გავცილდით თუ არა სოფელს, გზის პირად დავინახეთ 300-მდე ცხენოსანი ჩამწკრივებულნი; მათ რიცხვში იყვნენ ყოველი წოდების წარმომადგენელნი, განურჩევლად სქესისა, სტუდენტობა ებრაელები და სომხები, ყველა ეროვნულ ტანისამოსში. შევაჩერეთ ეტლები, თუ არა დასძახეს „ვაშა“, „გაუმარჯოს აკაკის“, შეიქნა თოფ-დამბაჩების გრიალი და ერთი მხიარულება. მგოსანს მიართვეს პურ-მარილი, ამასთანავე ონში მცხოვრიბმა, ლაჩხუთის სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორმა, **მალაქია ჯაფარიძემ** მიმართა მგოსანს:

„დიდათ პატივცემულო, ბატონო აკაკი! ზემო რაჭა გიძღვნის გულითად სალამს და გილოცავს მშვიდობით მობძანებას. დაგვიდგა სამხიარულო დღე და ჩვენმა მთებში მივარდნილმა მხარემაც იხილა დიდებული მგოსანი. მართალია ჩვენი კუთხე გადმოკარგულა მთებში და დაშორებულა საქართველოს სხვა კუთხეებს, ზოგჯერაც მოწყვეტილი უგზოობით, მაგრამ აქაც დიდი ხანია გიცნობენ, ძვირფასო აკაკი, შენი სიყვარული ღრმად აქვს ყველას გულში ჩანერგული, შენი სურათი შეადგენს აუცილებელ და ძვირფასს სამკაულს აქაური ოჯახისას. დიდი ხანია ამ ქვეყნის პაწაწა შვილები იზეპირებენ შენს ლექსებს, მოხრდილნიც და მოხუცნიც სტკბებიან შენი მშვენიერის ნაწარმოებით, ელვასავით მოედვა მთელ რაჭას ხმა, აკაკი გვესტუმრებაო; დიდი და პატარა ფეხზე დადგა, სმენად გადაიქცა, სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა მოუთმენელად მოელოდა ყველა დღევანდელ ბედნიერ დღეს. დაგვიდგა სანატრელი დღეც: გიხილეთ პირის პირ, ჩვენო დიდო მასწავლებელო, და მოგვეცა შემთხვევა გესაუბროთ კიდევაც. ვხედავთ ჭაღარას შენს წმინდა სახეზე, მაგრამ არ გვიტეხს გულს ეგ ჭაღარა და იმედი გვაქვს, დიდებულო მამულიშვილო, რომ ჯერ კიდევ დიდხანს არ შესწყდება ჟღერა შენი ჩონგურის სიმებისა ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ“.

(შემდეგი იქნება)

ლადო ბზვანელი.

სახალხო მწერლობა და „წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოება“

ქართულ და რუსულ გაზეთებში მსჯელობაა იმის შესახებ, თუ რა საგანს უნდა მოხმარდეს ალ. ხახანაშვილისაგან წ. კ. საზოგადოებისათვის შეწირული თანხა, მსურს ჩემი მოსაზრებაც გაუზიარო მკითხველებს.

დაუკვირდეთ ქართულ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების დანიშნულებას და მნიშვნელობას. ჩემის აზრით ამას სავსებით გამოხატავს თვით სახელწოდება ჩვენი დაწესებულებისა „ქართული წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“. დაუფიქრდეთ ახლა იმ გარემოებას, თუ როგორ ასრულებს საზოგადოება თავის დანიშნულებას: მას აქვს სახალხო სკოლები, ესე იგი ავრცელებს ქართულ წერა-კითხვას და თითქო ემსახურება თავის საგანს, მაგრამ მხოლოდ „თითქო“... ეს პაწია სიტყვა დიდ საქმეს აბრკოლებს და ძირს უთხრის.

წერა-კითხვის ცოდნას მხოლოდ მაშინა აქვს მნიშვნელობა, როცა იგი ადამიანის ცხოვრებაში რაიმე განმარტოებულ, განცალკევებულ, ამ ცხოვრებას მოწყვეტილ მოვლენას არ წარმოადგენს, როცა წერა-კითხვის მცოდნე ადამიანს, ცხოვრების ასპარეზზე გამოსულს, ისეთ მასალას მიაწოდებთ, რომელიც მის სულსა და გულში წერა-კითხვის ცოდნის მნიშვნელობას მიანიჭებს, მეტი ჭკუის, მეტი ცოდნის შეძენის სურვილს აღუძრავს. ეს მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა წერა-კითხვის მცოდნე ადამიანს კარგ, აზრიან წიგნს მიაწოდებთ. უწიგნოდ წერა-კითხვის ცოდნა—უზეთო პატრუქია, რომელიც თან-და-თან ნელ-ნელა ჰქრება. წერა-კითხვის მცოდნე ადამიანს კეთილი აზრითა და გრძნობით დაწერილი წიგნი თვალწინ გადაუშლის ცხოვრების ასპარეზს, ამ წუთი სოფელში ადამიანის დანიშნულებასა და ადგილს გაუნათებს და შეაგნებინებს.

რას წარმოადგენს ამ მხრივ ჩვენი ქართული ბედშავი სინამდვილე?

სახალხო სკოლებიდან გამოდიან ქართული წერა-კითხვის მცოდნე ქართველები, რომლებიც შემდეგ, ცხოვრებაში, ქართულ წიგნს ვეღარ ჰპოულობენ და ამ წერა-კითხვას თანდათან ივიწყებენ. ჩვენში სრულებით არ არსებობს ქართული სახალხო მწერლობა, რომლის დანიშნულებაა სკოლაში თუ სკოლის გარეშე ნასწავლ მშრომელ ხალხისათვის სულიერი საკვების მიწოდება.

ამ მხრივ დიდად საყურადღებოა მოსკოვის გამომცემელი ამხანაგობა „პოსრედნიკი“, რომლის დამფუძნებელნი იყვნენ ლევ. ტოლსტოი და მისი უახლოესი მეგობარი და თანამოაზრე ვლადიმირ ჩერტკოვი. მალე ოცდა ათი წელიწადი შესრულდება ამ ამხანაგობის დაარსების შემდეგ და ამ ხნის განმავლობაში მან უკვე დაჰბეჭდა და გაავრცელა ხალხში ორმოცდა ათი მილიონი ცალი სხვა და სხვა კარგი, სასარგებლო წიგნი.

იმ თავითვე ამხანაგობა „პოსრედნიკი“ ნათელ, აზრიან მიმართულებას დაადგა: ხალხისათვის ისეთი ცოდნის მიწოდება, რომელიც ადამიანს გულში კეთილ გრძნობასა და სურვილს გაუღვიძებს და ამავე დროს მის გარეშემო გადაშლილ ბუნებას გააცნობს ამხანაგობის მიზანია-კეთილი, კაცთ-მოყვარე, ზნეობით სპეტაკი ადამიანის აღზრდა, რადგან ამის გარეშე კაცი ვერ კაცობს.

საკმაო გადავშალოთ „პოსრედნიკის“ მიერ გამოცემულ სახალხო წიგნაკების სია, რომელთა ფასი 1 კ., 5 მ-დეა, რათა დარწმუნდეთ რა დიადი ღვაწლი მიუძღვის ამ ამხანაგობას რუსეთის ხალხის წინაშე. იქ ამოკრეფილია ფიქრისა და გრძნობის მარგალიტები კაცობრიობის მთელი ისტორიისა და მწერლობიდან და მდაბიო, გასაგები ენით მოთხრობილი.

როცა ჩვენ ქართულ სინამდვილეს გადავავლებთ თვალს, არ შეიძლება გულს სევდა არ მოგვეფინოს: თითქმის არაფერი ამგვარი ჩვენ ცხოვრებაში არ მოიპოვება და ამავე დროს ცოდნის წყურვილი ჩვენ ხალხში საკმაოდ გაღვიძებულია.

სკოლების გახსნა საჭირო საქმეა, მაგრამ ყველამ კარგად ვიცით, რას წარმოადგენს დღევანდელი სკოლა.

მაგრამ ჩინებული სკოლებიც რომ გვქონდეს; ახალ სკოლების გახსნასთან ერთად სახალხო მწერლობაზე ზრუნვა ჩვენი პირდაპირი ვალდებულებაა, თორემ ჩვენი მოღვაწეობა უნაყოფო იქნება და ემზგავსება ერთგვარ ოინს სამეურნეო იარაღით ხელში უდაბნოს ქვიშათა დასამუშავებლად. ხალხის გაწვევას.

უეჭველად საჭიროა წ. კ. საზოგადოებამ გადადვას თანხა სახალხო მწერლობის გასავითარებლად, მდაბიური ენით დაწერილ შინაარსიან წიგნაკების გამოსაცემად და გასავრცელებლად. ამ მხრივ წ. კ. საზოგადოებას დახმარებას გაუწევს უკვე ტფილისში არსებული სახალხო წიგნაკების გამომცემელი ამხანაგობა „ცისკარი“, რომლის საგანია ამგვარ წიგნაკების გამოცემა; რამოდენიმე წიგნაკი უკვე გამოცემულიც აქვს და თავის მოქმედებას განაგრძობს.

წიგნების გამოსაცემ თანხასთან ერთად უნდა გადაიდოს თანხა სახალხო ლექციების მოსაწყობად ჩვენ დაბა-სოფლებში, რასაც აგრეთვე დიადი მნიშვნელობა აქვს. იგი უდრის სხვა-და-სხვა საყურადღებო საგანზე ხალხთან ცოცხალ საუბარს, რაიცა ადამიანის გულში სამუდამოდ წარუშლელ კვალსა სტოვებს.

ილია ნაკაშიძე.

ხონის თეატრის სეზონი.

ხონში მიმდინარე წლის სეზონი დასრულდა. დასდგეს სულ 14 წარმოდგა. წარმოადგინეს „ქრისტინე“ და „ცხოვრების გარეშე“ ორ-ორჯერ. გარდა ამისა წარმოადგინეს „გამცემი“, „სამშობლო“, „ზღვასთან“, „დამარცხებული“, „პატარა კახი“, „დაძმა“ და სხვა.

ეს პიესები ხონში მრავალჯერ დადგმულა და ამისათვის წარმოდგენებს ხალხი ძრიელ ცოტ-ცოტა ესწრებოდა. წელს თეატრმა 150 მანეთამდე იზარალა. ზარალი იმ გარემოებამაც გამოიწვია, რომ დავითაშვილის ქალმა ხონის თეატრში სულ ერთი თვე და რამოდენიმე დღე იმსახურა და შრომის ფასად ამ ხნის განმავლობაში 220 მანეთი წაიღო. თეატრში აგრეთვე შემდეგი უწესრიგობა ხდებოდა: წარმოდგენების დროს 25 კაპიკიანი ბილეთის პატრონი მანეთიან მანეთ ნახევრიან ადგილზე იჯდა. ამის შემდეგ იმასაც იაფ-ფასიან ბილეთების ყიდვა იწყეს, რომლებიც წინათ 1 მ.-დან 1 მ. 50 კაპეიკამდე ბილეთს ყიდულობდნენ. გამგეობამ აქ უმოქმედობა გამოიჩინა და ამ მხრით თეატრში წესიერება ვერ დაამყარა.

წარმოდგენებს რეჟისორობდა ნ. გვარაძე. გარდა ადგილობრივ სცენის მოყვარეებისა წარმოდგენაში მონაწილეობას ღებულობდნენ მსახიობები კ. მაჭარაშვილი შ. ხონელი ილია მამფორია და ნ. დავითაშვილის ქალი და ქ-ნი დოლაბერიძე. ჰყავდათ დაქირავებული სუფლიორად ვინმე პ. მამულაიშვილი.

კ. მაჭარაშვილი წინათაც ხშირად გვინახავს ხონის სცენაზე, მაგ-

---

*) იხ. „სახ. გაზეთი“ № 685.

რამ აგრე მოხდენილად კი წინად იშვიათად თამაშობდა. ის შარშანდელ სეზონში ქუთაისის დასში მუშაობდა. დარწმუნებული ვართ, თუ ის კარგი რეჟისორის ხელში ჩავარდა- ერთ დროს ქართულ თეატრის დამამშვენებელი შეიქმნება. შ. ხონელი თუმცა წინ წასულა, მაგრამ ახლაც აქვს ბევრი ნაკლი. ამ ორ ახალგაზრდა მსახიობთ ის ღირსებაც აქვთ რომ ქართული თეატრი უყვართ სულით და გულით.

სცენის მოყვარეთა შორის წრევანდელ წელს ირჩეოდა თავის მოხდენილი თამაშით ე. კენჟერაძე, ამ. ბახტაძე და მებუკიშვილი. სეზონმა საზოგადოდ მკრთალად ჩაიარა.

მაღალი.

მოგზაურობა სოფლად

(დასასრული *)

გამოუთქმელი შთაბეჭდილება მოახდინა ამან ჩვენზე და მადლობის ნიშნად ყველა დავდუმდით, თავი მოვიხარეთ დიდებულ ადამიანის წინაშე. ნეტარება იმ დედას, რომელმაც გაწოვა შენ ძუძუ, ღირსეულო ადამიანო!!!

აქვეა გაშენებული სამნაირი ხელოვნური ღობე, აქვე, რუსპირად ამოუჩენია ბ. ისაიას ერთი მოზრდილი მცენარე. ბევრს სტუდენტს უნახავს ის, მაგრამ სახელი კი ვერ გამოუცვნიათ. სიმაღლე მცენარეს აქვს 1½—2 არშინი, ძირის ფოთლები თითქმის ერთ საჟენის სიგრძეზე ასხია. ტოტებზე ყვავილის გვირგვინები აქვს დაყრილი. ყვავილი სცოდნია თეთრი, ლამაზი.

ყოველწლიურად ეს ბაღი იძლევა 500—600 მან. აქვე შემოგვიერთდა ადგილობრივი ინტელიგენცია—სტუდენტები, კურსისტი ქალები, მასწავლებლები და სხვ. და ერთად გავწიეთ მეორე ბაღისკენ, რომელიც აქედან ერთი ვერსის სიშორეზე მდებარეობს. ეს ბაღი 24 დღისაა. ორ წლობით ალებული აქვს ტფილისელ სომეხს 700 მანეთად. აქვე ექვს დღიურზე გაშენებულია ამერიკული ვაზი, მაგრამ სარფა არ არის ამისგან, უნდა გავჩეხო და ისევ ხეხილი ჩავყაროვო, ბრძანა პატივცემულმა ისაიამ. რადგან ბაღი მეტად დიდია, მხოლოდ ნაწილი დავათვალიერეთ. გაოცებული გაჰყურებთ ამ თვალუწვდენ მამულს. რამოდენა ენერგია იყო საჭირო, რომ ერთ კაცს საკუთარის წელით ამოდენა მამული ასე გაეშენებინა, აეყვავებინა. ბ. ისაიას მებაღეობა დაუწყვია 1872 წ. რამდენი ტანჯვა, უბედურება გამოუვლია!! სულ რაღაც ორიოდ დღიურით დაუწყვია საქმე. მაგრამ წრფელი გული და უანგარო სიყვარული მამულისადმი მძლეთა-მძლეა. პატიოსან მუშაკს გადაულახია ყოველი გაჭირვება, უძლევია ყოველი დაბრკოლება, კაპეიკი კაპეიკისთვის მიუკოწიწებია, შეუძენია ნელ-ნელა გვერდზე მდებარე მამულები, ოფლით მოურწყავს, გაუპოხიერებია ნიადაგი...

— თხუთმეტი წელიწადი თითქმის სულ ვზარალობდი, მაგრამ ზარალს არ ვუშინდებოდი, შიში ხომ ჩემი დამარცხება იქმნებოდა. ნელ-ნელა საკუთარის ძალღონით ვამუშავებდი. ბაღს, ნელ-ნელა ვიძენდი სხვის მამულს, თუმცა ერთი-ორად მიხდებოდა ფასის მიცემა. ჩემი სურვილი იყო ბაღი გადამეტანა პატარა ლიახვის ნაპირამდე, აჰა, გადავიტანე კიდეც და მეც დავბერდიო, სიხარულითა და ღიმილით წარმოსთქვა ბ. ისაიამ. კიდევ ბევრი გველაპარაკა პატივცემული მობაასე სოფელზე, სკოლაზე, ჩვენი ხალხის ჭირ-ვარამზე, მაგრამ ყველაფრის აღნუსხვა გაზეთის ფურცლებზე შეუძლებელია. კარგა ხანს დავრჩით აქ. საუზმე გაგვიმართეს. ჩამობინდდა. ფეხით ჩამოგვაცილეს სოფ. **კარბამდე.** გამოთხოვებისას ერთი ამხანაგი ბ. ისაიას ხელზე ეცა—ნება მომეცი დაგიკოცნო ეგ მადლიანი ხელებიო, მაგრამ მან ნება არ მისცა, ყველანი პირზე გადაგვკოცნა ერთგულად და სიმღერითა და თოფის სროლით გავიყარენით... ღამის პირველ საათზე ყველანი ჩვენ ჩვენს ბინაზე ვიყავით გორში.

სანგანიძე.

P. S. ვსარგებლობ შემთხვევით და ულრმეს მადლობას მოვახსენებ ჩემის მხრივ და ჩემის ამხანაგების სახელითაც პატივცემულთ კონსტანტინე მიხეილის ძე ამირეჯიბს, ოჯახითურთ, ისაია ფურცელაძეს, ოქრო ამირეჯიბს, ბლაღ. მღვდ. იროდიონ ოქროპირიძეს და მის სახელოვან ოჯახობას, მერეთის ინტელიგენციას და ყველას, ვინც ჩვენი მოგზაურობის დროს რითმე ხელი შეგვიწყო.

ს.—გ.

---

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 685.

მოწერილი ამბები

უწერა (რაჭა). აგარაკი უწერა მდებარეობს მდინარე რიონის პირად დაბა ონიდან 13—14 ვერსის მოშორებით. ბუნებას უხვად დაუჯილდოებია ეს ადგილი როგორც მდებარეობით, ისე მჟავე და რკინის წყლებით. ეს ადგილი არაფრით არ ჩამოუვარდება ბორჯომსა და აბასთუმანს. ამის გამო ამ ადგილასაც ბლომად ეტანება როგორც ამ მაზრის მცხოვრებნი, ისე სხვანიც. საუბედუროდ, აგარაკი უწერა მოკლებულია ყოველსავე ჰიგიენურს პირობებს, რის გამოც მოაგარაკენი გაჭირვებას განიცდიან. თუმცა თავისუფალი სახლები მოიპოვება, მაგრამ ისეთი უსუფთაობა და სიბინძურეა, რომ ყოვლად შეუძლებელია შიგ ცხოვრება. მოაგარაკენი იძულებული ხდებიან ისეთი სახლები დაიქირაონ, რომ ცისქვეშ არ მოუხდეთ ღამის გათევა.

ასეთივე მდგომარეობაა საბანაო წყლებზე; მობანავეთათვის არ არსებობს არავითარი წესი, განსაზღვრული დრო. სასმელი წყლები ერთი ვერსის მანძილზეა. თუმცა მახლობლადაც შეხვდებით ბოთლებით მოტანილ წყლებს, მაგრამ დასალევად თბილი და უვარგისია. ამის გამო ერთი ვერსი უნდა გაიაროთ რომ ეღირსოთ წყლის დალევას, ისაც იმ პირობით, რომ 6 კ. გადაიხადოთ, მხოლოდ წყალზე სიარულის უფლება გეძლევათ ორჯერ. რაღა უნდა ვთქვათ სხვა და სხვა გასართობებზედ და საკულტურო დაწესებულებებზე. ჟურნალ გაზეთები აქაურ მოაგარაკეთათვის უცხო ხილია. ექიმსა და აფთიაქს ხომ წამლადაც ვერ იშოვით. ერთი ფერშალი მაინც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ამოდენა ავადმყოფთათვის. ნუ თუ არ მოიპოვება ისეთი პირი, რომ ითავოს ეს საქმე და დასნეულებული ხალხი იხსნას ასეთი გაჭირვებისაგან.

ი. თაბორელი.

წერილი ხარკოვიდან

(დასასრული *)

როგორი არის ოქტომბრისტების მდგომარეობა? რამდენადაც დაკვირვებამ დამანახვა თან და თან სუსტდება თანაგრძნობა მცხოვრებლებისა ამ უდღეო პარტიისადმი და ნაწილი ნაციონალისტებისაკენ იწევს და ნაწილი კი ოპოზიციისაკენ. ან კი როგორ შეიძლება ხანგრძლივი იქმნეს იმ პარტიის არსებობა, რომელსაც არავითარი გარკვეული პრინციპი და მიმართულება არა აქვს? მეტად საყურადღებოა ერთი შემთხვევა ოქტომბრისტთა ცხოვრებიდან. რიბინსკში მიმალულა ადგილობრივი 17 ოქტომბრის კავშირის თავმჯდომარე ვაჭარი ნესვეტაევი. მას ზომაზე მეტი მოვალე ჰყოლია და რომ ვეღარას გამხდარა სადღაც მიმალულა. დიდი არეულობა გამოუწვევია თავმჯდომარის გაპარვას, რადგან რიბინსკში ოქტომბრისტთა და ნაციონალისტების შეერთებულ ბლოკს იგი ჰყავდა მხედველობაში სათათბიროს დეპუტატად; დღეს ბლოკი მეტად ცუდ მდგომარეობაში იმყოფება, რადგან სხვა თურმე არავინ აცხადებს თანხმობას დეპუტატობაზე. ამ ნიადაგზე დიდი უთანხმოება ჩამოვარდნილა ოქტომბრისტთა და ნაციონალისტებს შორის. ოქტომბრისტები სცდილობენ ყოველივე კადეტებს მოახვიონ თავზე, თითქოს მათის მეოხებით ყოფილიყოს იძულებული ნესვეტაევი, ქალაქი დაეტოვებინოს, მაგრამ ამ მხრივ საწადელს ვერ აღწევენ.

⁂

საზოგადოდ, თუ ადგილობრივ გუბერნატორების მინისტრისადმი მოხსენებებს დაუჯერებთ, ყველაზე უფრო საშიშონი ოპოზიციის წევრების არჩევის მხრივ პერმის, ვიატკის, უფიმის, სამარის, სარატოვის, არხანგელსკის და ტვერის გუბერნიები არიანო. თვის მოხსენებაში, მაგალითად, არხანგელსკის გუბერნატორი სწერს: გლეხებსაც და სამღვდელოებასაც ცხადად ემჩნევა მემარცხენეთადმი თანაგრძნობაო. გუბერნატორები აღნიშნავენ აგრეთვე, რომ ბევრგან ნათლად სჩანს ამომრჩეველთა ოქტომბრისტებისადმი ზურგის შექცევა და კადეტებისაკენ გადახრაო. სატახტო ქალაქებში პირველ კურიაში ვის დარჩება გამარჯვება, ოქტომბრისტებს თუ კადეტებს, ჯერ-ჯერობით რისიმე თქმა ძნელია.

საერთოდ რუსეთში ასეთი სურათია არჩევნების მოლოდინში; მიუხედავად ოპოზიციის უმოქმედობისა და მემარჯვენეთა არა ჩვეულებრივი მუყაითობისა, მმართველ წრეებში ეჭვი აქვთ, რომ მეოთხე სათათბიროში მემარჯვენეებმა გაიმარჯვონ; პირიქით ოპოზიციის გაძლიერებას მოელიან.

ვნახოთ, მომავალი ამასაც გვიჩვენებს.

⁂

წელს ხარკოვში არა ჩვეულებრივად გრილი ზაფხული ყოფილა; ეხლაც გვარიანად გრილა, თითქმის შემოდგომას მოგაგონებთ. როგორც სჩანს, წელს აქ ოთახები მეტად ძვირი იქნება. უბრალო ოთახს 20 25 მანეთ ნაკლებად არ აქირავებენ. უეჭველია, ოთახის სიძვირეზე გავლენას იქონიებდა ის გარემოება, რომ წელს აქ სექტემბრის ნახევრის დან უმაღლესი კომერციული კურსები დაიწყებს მოქმედებას და უფრო მეტი ახალგაზრდობა მოაწყდება ხარკოვს. უნივერსიტეტში ყველა ფაკულტეტზე, გარდა მედიკურისა, თხოვნები პირველ სექტემბრამდის მიიღება. დღეს უკვე დაიწყო ადგილობრივ ტეხნოლოგიურ ინსტიტუტში საკონკურსო გამოცდა. გამოცდა 21 ამ თვემდის გასტანს. სულ 520 მთხოვნელია, აქედან 120 ებრაელია. თავისუფალი ადგილი კი სამასამდის არის.

ალ. წერეთელი.

---

*) იხ. „სახ გაზ.“ № 686.

ხმა კახეთიდან

თელავის ცხოვრება, რასაკვირველია ტფილისთან შესადარებელიც არ არის, მაგრამ ზაფხულობით არც ძალიან განირჩევა, ხალხის სიმრავლე, ხმაურობა-ჟრიამული, სხვა და სხვა გასართობები, სეირნობა, წარმოდგენა, კონცერტი, ცეკვა. ლოტო, ბანქო, სულ ღომხალივით ერთმანეთში არეული მეტად მოსაბეზრებელია, მაგრამ ამის და მიუხედავად თელავში მაცხოვრებელნი, მოაგარაკენი არიან ესენი, მკვიდრნი თუ მოსწავლე ახალგაზრდობა,—მაგრად არიან ჩაბმულნი, სულ მის გარშემო ტრიალებს მთელი მათი თვალთ-აზრი, რომლის გარეშითად არაფერი არსებობს,

სოფლად გასვლა სამეცნიერო აზრით, ჩვენი ხალხის ზნე-ჩვეულების შესწავლა, სხვა და სხვა სიძველეთა დათვალიერებ-გაცნობა ფიქრადაც არავის მოსდის და მგონი არა ვცდები, ამ ზაფხულს თელავს მხოლოდ ის გასცდა, ვინც ტიკჭორით სავსე საქეიფოთ წავიდა სადმე..

მერე, რა კარგია კახეთი ზაფხულობით, რა სასიამოვნოა ჩვენი სოფელი, როგორ შთაბეჭდილებას ახდენს ჩვენი გლეხის შრომის მოყვარეობა, იმ გლეხისა, რომელიც ზოგის წარმოდგენით უშნო, ზარმაცი, ფუქსავატი და ველურია...

ყოველდღიურ ჭირ-ვარამში ჩაბმულს მხოლოდ ერთი დღით მომიხდა კახეთის ზემო მხარეს წასვლა, რომელსაც არავითარი საგანგებო მიზანი არა ჰქონდა, მაგრამ ეს მცირე გასეირნება საკმარისი იყო იმ ღრმა შთაბეჭდილებისათვის, რომელიც ჩემზე მოახდინა:

გავცდით თუ არა თელავს, ჩვენ თვალწინ გადაიშალა საუცხოო სანახაობა შიგნით კახეთისა თავის სამი დიდებული ძეგლით: ჩრდილოეთით ამართულია ალავერდის საკათედრო ტაძარი, რომელიც დაცემულ-ჩავარდნილ ადგილზე იმყოფება ალაზნის მარჯვენა ნაპირზე, მაგრამ ასეთი მდებარეობა არას უშლის და იგი 30—40 ვერსის მანძილზე მშვენივრად მოსჩანს, დასავლეთით თეთრი გიორგის ეკლესია, რომელიც სიდიდით ალავერდს ვერ შეედრება, მაგრამ გომბორის მთის კალთიდამ მთელ კახეთს გადმოსცქერის; არა სჩანს შუამთის მონასტერი, ის მთაგორებით გარშემოხვეულია, შორიდამ არ იზიდავს მაყურებელს, მაგრამ სამაგიეროთ ადგილობრივ მნახველს ჰხიბლავს თავის სიმშვენიერით. ეს სამი დიდებული ძეგლი ჩვენი წარსულისა, ეს სამი უტყვი მოწამე ჩვენი მრავალ ტანჯული სამშობლოსი ამაყად, დიდებულად უყურებენ ერთიერთმანეთს, თითქოს მოუთხრობდნენ თავის თავ-გადასავალს და გზად მიმავალმაც მათ დანახვაზე არ იქნება პირჯვარი არ გამოისახოს. დავცდით ქვემოთ, მიუახლოვდით ალავერდს, გამოჩნდა მისი მზეზე ბრწყინავი სახურავი, რომელიც ეპისკოპოსმა კირიონმა დახურა, როცა იგი ალავერდის ეპისკოპოზად იმყოფებოდა კახეთში. მომაგონდა ეპისკოპოზი პეტრე, რომელიც მის სავანეში განისვენებს, ეპისკოპოზი დავითი, რომელიც კახეთის ამ სამ მიჩნეულ სიწმინდეთ ნიადაგ თავს დასტრიალებდა. მომაგონდა ჩვენი კახელის ჩვეულება და მოწიწებით მოპყრობა და მეც პირჯვარი გადავიწერე, რაიც ჩემ თანამგზავრებს გაუკვირდათ.. ეს არც მეუცხოვა, ეხლა ხომ ეკლესიაში სიარული და რელიგია სასირცხვილოთ მიაჩნია ჩვენ ინტელიგენციას, ჩემ მოსაუბრეთ-კი აუხსენი, რომ ჩვენი წინაპირნი მთელი საუკუნოებით იბრძოდნენ სარწმუნოების გულისთვის და ჩვენც მოვალენი ვართ ამით მაინც გამოვხატოთ მათ მიერ დატოვებული სიწმინდეთა სასოება...

(დასასრული იქნება)

დავიწყებული.

სხვა და სხვა ამბავი

რამდენი დაეხარჯება გერმანიას ომის დროს?

ბელგიურ გაზეთ „ენდეპანდანს ბელჟ“-ს და გერმანულ „დეიჩ რუნდშაუ“-ს კამათი აქვთ იმის გამო, თუ რამდენად დაუჯდება დღეში თითო ჯარის-კაცი გერმანიას ომის დროს. „დეიჩ რუნდშაუ“-ს ანგარიშით, ერთ ჯარის-კაცს დასჭირდება დღეში 6 მარკა (მარკა 45 კ.) ხოლო გერმანიის ოთხ-მილიონიან ჯარს 6 მილიარდი წელიწადში. პირველ წელს გერმანიას საკუთარი ფული ეყოფა, ხოლო მეორე წელს უნდა აიღოს 7 მილიარდი სესხი. ბელგიის გაზეთი არ ეთანხმება ასეთ მოსაზრებას და ამბობს, რომ ხარჯი გაცილებით მეტი იქნება; როდესაც 4 მილიონი მუშა ხელი მოაკლდება მეურნეობას, იმდენად გაძვირდება სურსათი, რომ შეუძლებელია მშვიდობიანობის დროის კვალად ხარჯის გათვალისწინება. გაძნელდება აგრეთვე სურსათის გადატან-გადმოტანა მკვიდრთათვის. ომის მეორე წელს სესხის აღების პირობები შეიცვლება და მაშასადამე პროცენტებიც აიწევს.

აღმოსავლეთის დესპოტი და ევროპიული სისასტიკე.

მაროკოს სულთანი მულაი ჰაფიდი, რომელმაც ამ ერთი თვის წინად ხელი აიღო ტახტზე, აგრე რიგად ლმობიერი როდია თავის ქვეშევრდომთა მიმართ. თავის მოწინააღმდეგეებს ისეთ წამებას აყენებდა, რომ საფრანგეთის მთავრობა ხშირად იძულებული იყო გამოსარჩლებოდა მაროკოს ბრძანებლის საცოდავ მსხვერპლებს. ახლა კი, როცა მულაი ჰაფიდი საფრანგეთს გადასახლდა, როლები შეიცვალა და ნადესპოტარი დიდად აღშფოთებულია თურმე ევროპიელების სასტიკობით. საქმე ისაა, რომ საფრანგეთის ერთ საავარაკო ადგილს, ვიშში, გამართულია საგანგებო ბაღები, სადაც შინაურ მტრედებზე ნადირობით თოფის სროლაში ვარჯიშობენ. როცა მულაი ჰაფიდს უნახავს ეს, დიდად შეწუხებულა და აშკარად განუცხადებია თავისი უკმაყოფილება ასეთი მხეცობის წინააღმდეგ.

ომი და გერმანელი სოციალისტები

როგორც ფრანგული გაზეთი „motiv“ გადმოგვცემს, დესაუში, სოციალისტების კონგრესზე, სოც. გენეს უთქვამს: „მხოლოდ ბრიყვი და მეოცნებე თუ იფიქრებს საერთო გაფიცვის მოწყობას მაშინ, როცა ომი გამოცხადდება, რათა ამით ხელი შეუშალოს მას. უცხოელთა შემოსევა რომ გვემუქრებოდეს, მაშინ, წინააღმდეგ ყოველგვარი თეორიისა, საზოგადოების ყოველს წრეში უეჭველად გაიმარჯვებს თავის დაცვის გრძნობა“.

ქურდი-პროფესორი.

ამერიკაში ამას წინად დაიჭირეს ერთი უცნაური ადამიანი, პროფესორი გეტრი, რომელიც დღე უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობდა, ღამე კი ქურდობით შიშის ზარს ჰგვრიდა ჩიკაგოს მცხოვრებთ. ნაქურდალი თურმე მილიონ მანეთის საღირალს აღემატება. იპარავდა ძვირფასეულობას, ნაქსოვს, ტანისამოსს, ხელოვნების ნაწარმოებს; განსაკუთრებით ჰყვარებია სხვა და სხვა ძვირფასი თვალი. მას განუცხადებია, რომ დამნაშავეთა და მაძებარი პოლიციის ცხოვრებიდან დაწერილი რომანების კითხვამ მიმიყვანა ქურდობამდეო.

ჰლექი საფრანგეთში.

ოფიციალური ცნობებით 80.000 უწლო ბავშვიდან საფრანგეთში ყოველ წელს 40.000 ჰლექით ჰკვდება. ამას გარდა იგივე ავადმყოფობა ყოველ წელს სიცოცხლეს ასალმებს 110.000 სხვა და სხვა ხნის ადამიანს, ასე რომ საფრანგეთში ყოველ დღე 400 კაცი ჰკვდება ჰლექით. ასეთი მოვლენის უმთავრესი მიზეზი, მეცნიერთა გამოკვლევით, ძროხის რძე ყოფილა, რადგან ორი მილიონი ძროხიდან, რომელიც საფრანგეთს ჰყავს, ნახევარზე მეტი ჰლექიანია თურმე. ხოლო ძროხის ჰლექი ისეთივე საშინელი ჰყოფილა, როგორც ადამიანის.

„რუსკოე სლოვოს“ სევასტოპოლიდან ატყობინებენ: დღეს ღამით დამცველი განყოფილების მოხელეებმა ნავთსადგურის შტაბის უფროსისა და ქალაქის კომენდანტის თანადასწრებით გაჩხრიკეს სამხედრო-საზღვაო გამომძიებლის კაპიტან შუბინის ბინა, წაიღეს სხვა და სხვა ქაღალდი და თვით შუბინი ციხის ჰაუპტვახტაში დააპატიმრეს.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

28 აგვისტო.

საზღვარ-გარედ

ბეტმან-ჰოლვეგი და გრ. ბერტჰოლდი.

ვენა. „კორესპონდენც-ბიუროს“ სიტყვით, ბეტმან-ჰოლვეგსა და გრ. ბერტჰოლდს შეხვედრისას ხანგრძლივი საპოლიტიკო საუბარი ჰქონიათ. განსაკუთრებით დიდი მსჯელობა ჰქონიათ მახლობელ აღმოსავლეთის თაობაზე. ორივენი თითქმის ყველაფერზე შეთანხმებულან.

ბუხლაუ. დილას ბეტმან-ჰოლვეგი და ბერტჰოლდი სანადიროდ წავიდნენ და მთელ დღეს ნადირობდნენ. საღამოს ბეტმან-ჰოლვეგი სილეზიაში მიდის.

სპარსეთი.

თავრიზი. სოუჯ-ბულაყიდან იტყობინებიან, სოფლებში ძალიან გახშირდა ძარცვაგლეჯაო. ძარცვაგლეჯა დაწყებულა ფიდაების მიერ ქერმან შაჰის აღების შემდეგ.

ჯულფა. საბაჟოში კიდევ დაიჭირეს ექვსი ყუთი, რომელიც გერმანიიდან თავრიზს იყო გაგზავნილი. ეტყობა, იარაღი უნდა იყვეს.

მეფის მოკვლის განმზრახველი.

რომი. 25 სექტემბერს გაარჩევენ ბალბას საქმეს; ბალბამ ამას წინად იტალიის მეფეს რევოლვერი ესროლა.

ფურცლები კლერიკალიზმის წინააღმდეგ.

ვენა. გაიხსნა საეკლესიო ხელოვნების გამოფენა. „თავისუფალ სკოლის“ ორგანიზაციამ ავსტრიის 1800 ქალაქსა და დაბაში გაავრცელეს კლერიკალიზმის საწინააღმდეგო ფურცლები, რომელსაც ჰქვიან: „იოსების გაზეთი ავსტრიის გერმანელთათვის“. ვენაში ფურცლებს ავრცელებდა 4 ათასი ლიბერალი-ინტელიგენტი. 200 კაცი დააპატიმრეს. პროვინციაშიაც ძლიერ ბევრი დაუპატიმრებიათ.

სერბიის კაბინეთის გადადგომა.

ბელგრადი. ტრიფკოვიჩის კაბინეთმა სამსახურიდან გადადგომა ითხოვა.

ბერძენთა ყრილობა.

ათინა. ოლიმპიის ძევსის ტაძარში ანატოლიის, რუმელიის, კიპროსის, კრიტეს და სამოსის ბერძენთა კავშირებმა ოსმალეთის საწინააღმდეგო ყრილობა გამართეს. მიიღეს დადგენილება, რითაც პროტესტს აცხადებენ ოსმალთა მიერ ქრისტიანების შევიწროების წინააღმდეგ, მოითხოვენ ყველა ეროვნებათა გათანასწორებას, კონსტიტუციის სრულიად განხორციელებას და სხვას.

მაროკო.

პარიზი. „ჰავასის სააგენტოს“ ყაზაბლანკიდან აუწყებენ, საფრანგეთის ჯარი მარაკეშს რომ მიუახლოვდა, მაროკოში კონტრ-რევოლუცია დაიწყოო. ელბიხა ქალაქიდან გამოუძევებიათ. ჯარმა თოფი დაუშინა ქალაქს. ტყვე-ფრანგები უკვე გაანთავისუფლეს.

პოლონელები და უკრაინელები.

ლვოვი. პოლონეთის დემოკრატებისა და ლუდოვცების პარტიის წარმომადგენელთა ყრილობას გადაუწყვეტნია რუსებს მისცეს მანდატების 26,4°/0. პოლონეთის კონსერვატორები ამის წინააღმდეგნი არიან. მოკამათეთა მორიგება მეფის ნაცვალმა იკისრა. მორიგების იმედი როდია, რადგან უკრაინელებს გადაუწყვეტნიათ არაფერი დამთმონ. გალიციის სეიმს სექტემბრის ბოლოს მოიწვევენ.

ალბანეთის ამბავი.

სტამბოლი. ალბანიაში ისევ არეულობაა. ალბანელთა, ბულგართა, სერბიელთა და ბერძენთა ბრბოები სწვავენ და სძარცვავენ სოფლებს, ჰხოცავენ და ტყვედ მიჰყავთ მდიდრები, შემდეგ გამოსასყიდ ფულსა თხოულობენ.

ოხრიდს ახლო დაუჭერიათ ქალილ-ფაშა, მინისტრად ნამყოფი.

თითქმის ყოველ დღე ჰპოულობენ რკინის გზასა და სახაზინო დაწესებულებებში ყუმბარებსა და ასაფეთქებელ მასალასა.

იპეკსა და მიტროვიცას შუა ფოსტა ვეღარ დადის. მიუხედველად ყველა ამისა, შემოქმედი კომისიის თავმჯდომარეს იბრაჰიმ-ფაშას იმედი აქვს, ერთი თვის შემდეგ სრული მშვიდობა დამყარდებაო.

ოსმალნი და ბულგარნი.

სოფია. მოსაზღვრე სადარაჯოს კარატეპკესთან ოსმალებს ორი ბულგარი უნტერ-ოფიცერი მოუკლავთ. სროლა ეხლაც არ შეწყვეტილა. მთავრობას დაუვალებია თავის წარმომადგენლის სარაფოვისთვის: პორტას დამნაშავეთა დასჯა მოსთხოვეო. ამისთანავე წინადადებით მიუმართავს ოსმალეთის წარმომადგენელს ბულგარეთისათვის.

რუსეთი

რედაქტორის დაპატიმრება.

პეტერბურგი. პეტერბურგის ქალაქის უფროსის ბრძანებით სამი თვით ციხეში უნდა ჩასვან „გროზას“ რედაქტორი.

სამინისტროს გადაწყვეტილება.

პეტერბურგი. გზათა სამინისტროს გადაუწყვეტნია 1913 წლისათვის ცოტაოდნად გაუმჯობესონ რკინის გზის დაბალ მოსამსახურეთა მდგომარეობა, რისთვისაც საჭირო ყოფილა 24 მილიონამდე.

უცხოეთი

ბალკანეთზე.

უკანასკნელ ამბებით გამოწვეული მდგომარეობა კვლავ გამოურკვევლად რჩება. ავსტრიის მიერ წამოყენებული რეფორმათა პროექტი იმდენად სახიფათო გამოდგა ევროპის დიპლომატიისათვის, რომ მის დაწვრილებით განხილვას ვერც კი ჰბედავს; დიდი სახელმწიფოები დღეს მხოლოდ „აზრთა გაცვლა-გამოცვლაში“ არიან ხსენებულ პროექტის თაობაზე. ბალკანეთის პატარა სახელმწიფოები კი ხმა მაღლა მოითხოვენ ევროპისაგან „სამართალს“, ე. ი. ისეთ მდგომარეობის შექმნას, სადაც ადგილი აღარ ექმნება ოსმალეთის მიერ ქრისტიან ერთა ხოცვა-ჟლეტას.

მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური სააგენტო ქვეყანას არწმუნებდა—ჩერნოგორია მშვიდობიანობის გზას ადგიაო, გაზეთების ცნობით ხალხი მონატრულია ოსმალეთთან ომის დაწყებისა და ყურადღებასაც არ აქცევს დიდ სახელმწიფოების რჩევას. ცეტინიესა და მოსაზღვრე სოფლებში დიდებული მანიფესტაციები იმართება. მანიფესტანტები მეფის სასახლესთან მიდიან და მხურვალე სიტყვებით ქება-დიდებით იხსენიებენ, როგორც მეფეს, ისე მის სახელოვან წინაპრებს. მეფე ნიკოლოზს ხალხი აღმერთებს, რადგან მან პროტესტი განაცხადა დიდ სახელმწიფოების წინააღმდეგ, რომელიც ჩერნოგორიას ურჩევდა მოთმინებასა და მშვიდობიანობას. მეფეს მანიფესტანტებისთვის უთქვამს: თუ ევროპის სახელმწიფოები ვერ უზრუნველყოფენ ჩერნოგორიის საზღვრების ხელუხლებლობას, მაშინ პასუხისმგებელი აღარ იქნება იმისა, რაც შესაძლებელია მოხდეს, ჯარი კი ყოველი შემთხვევისათვის მზადა მყავსო. მართლაც ჩერნოგორიის მხედრობა ამ ჟამად მშვენივრადაა გაწვრთნილი და შეიარაღებული; ინსტრუქტორებად რუსის ოფიცრები ჰყავდათ და რუსეთისგანვე ფულით დახმარების წყალობით იგი კარგადაა გამოწყობილი—სამარი ტანსაცმელი ისეთივეა, როგორც ევროპის ჯარისა და თოფებიც ხიშტიანი აქვთ. ჩერნოგორელები ათასობით სდგანან ოსმალეთის საზღვარზე და მზად არიან ომისთვის. არტილერიაც ძლიერი აქვთ. თუ სახელმწიფოებმა არ აიძულეს ოსმალეთი ჩერნოგორიის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, ომი აუცილებელია.

უკეთესი მდგომარეობა არც ბულგარეთშია. აი რა უთქვამს „რუსკოე სლოვო“-ს კორესპონდენტისათვის ბულგარეთის ხალხის წარმომადგენელთა პალატის თავჯდომარე—დანევს: ადვილი საქმეა ბულგარეთის მთავრობას ურჩიო—მშვიდობიანობა დაიცავიო, მხოლოდ ასეთი რჩევა დღეს უკვე დაგვიანებულია. რამდენიმე ათი წელიწადია, რაც ჩვენი ქვეყანა აუტანელ მსხვერპლს სწირავს თავის ჯარს, რათა ნაციონალური იდეალების განხორციელებას ეღირსოს. ადრე არავინ გვეუბნებოდა, რომ ეს მსხვერპლი ზედ მეტია ჩვენის მხრით, რადგან ევროპა თვით იზრუნებს ოსმალეთის ქრისტიანებზეო. ჩვენის ქვე-

ყნის მოძრაობამ, რომლის მიზანია შეწირულ მსხვერპლთა გამოყენება და ნანატრი შედეგების მიხწევა, სტიქიური ხასიათი მიიღო და კეთილი რჩევა—რაც უნდა მოხდეს მაინც მშვიდობიანობა დაიცავითო —უკვე დაგვიანებულად უნდა ჩაითვალოს, რადგან დღეს, როგორც ვსთქვი, მშვიდობიანობა აღარაა დამოკიდებული ბულგარეთის მთავრობისაგან. ერთად-ერთი სხნა ის იქნება, თუ ევროპა მოისურვებს ოსმალეთის საქმეებში ჩარევას და ნამდვილი რეფორმების შემოღებას აიძულებს.

თეატრი და ხელოვნება

ვეტცელის თეატრი. შაბათს, 25 მარიამობისთვეს სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენილი იქმნა აკაკის სცენები: „კინტო“ და კ. ყიფიანის „დატრიალდა ჯარა“. ამ სალამოს თავი ისახელა ზარდალიშვილის მეუღლემ—ურბნელმა. მისმა თამაშმა და სიმღერამ ალტაცებაში მოიყვანა ხალხი და რამდენჯერმე დააჯილდოვეს ტაშის ცემით.

ამ სალამოს გეოს როლი უნდა ეთამაშნა დ. აწყურელს, მაგრამ ავადმყოფობის გამო ვერ შესძლო მოსვლა, მის მაგიერ გამოვიდა ახალგაზდა სცენის მოყვარე მ. ჯანველოვი, რომელმაც უნაკლულოდ შეასრულა „ყარაჩოღელი“ გეო.

არა უშავდათ რა თუშმალოვს, სულთანოვსა და ლეჟავას, ა. გოჩიტაშვილსა და გელიკურაშვილს. მშვენიერი იყო რ. სალაყაია მსახურ იმერლის როლში, მისი ყოველივე სიტყვა სიცილს იწვევდა მაყურებელში.

ვოდევილში კარგი იყო გელიკურაშვილი და აფხაზიშვილი. ხალხი ძალიან ცოტა დაესწრო.

მე არა ვარ.

წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

ვარდგენ რა ნაცნობთა შორის შეგროვილს 8 მან. 1 კაპ. განსვენებულის ი. გოგებაშვილის სახელობის ფონდის გასაძლიერებლად, უმორჩილესად გთხოვთ თქვენს პატივცემულს გაზეთში მოათავსოთ შემომწირველთა შემდეგი სია: **თითო-თითო მანეთი:** ალ. არავიაშვილმა და ნ. ზუმბულიძემ; **ათ-ათი შაური:** დარო ვაჩნაძისამ, ნინა ხელაევისამ, დარო მათიაშვილისამ, მიხეილ ასატუროვმა, მღვდ. ალ. ზირახოვმა, მღვდ. გ. გულიაშვილმა, მღვდ. იოანე ახმეტელოვმა და რაჟ. წინამძღვრიშვილმა; მანანა ზირახოვისამ 40 კ., ვანო ყოინაშვილმა 30 კ., ნინა გოგოლაშვილისამ 30 კ., ათანასე ქუმსაშვილმა 25 კ., ილია ირემაშვილმა 25 კ., ქიტა ბასილაშვილმა 20 კ., იოსებ ხელაევმა 20 კ., ბაგრატ აბრამოვმა 11 კაპ.

გთხოვთ ეს ფული გადასცეთ დანიშნულებისამებრ.

ს. კარდანახის სამინისტრო სკოლის გამგე **ალ. არავიაშვილი.**

ბ-ნო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ, თქვენის გაზეთის საშუალებით წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების თელავის განყოფილებას გადავცე ერთი თუმანი ფული ახალად გარაცვალებულ პარასკევა ნიკოლოოზის ასულის ჭავჭავაძის კუბოს გვირგვინით შემკობის მაგივრად. **კნ. ა. ნ. ჭავჭავაძე.**

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.

განცხადებანი

ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.

დ ი ლ ი თ:

„606“—11—12 ს. შეხაპუნება კონსულტატიურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. აგასაროვი: 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.
კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. აგეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ა. ჰ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-შელიქიანი** 1—2 ს. საბებიო დ. ქალების ავადმ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

მ. გ. აგეტისიანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნლოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
(წ. 1078.201)

გ. და მ. ტერ-დავიდიანცის საბუღალტრო კურსები

ტფილისში, ნიკოლოზის ქ., № 36; ვორონცოვის ძეგლთან. ყოველნაირ ცნობებისთვის კურსების კანცელარია ღიაა ყოველ დღე სალამოს 4—7 საათამდე. (25—1437—14)

ქართულ ენაზე ჭრა-კერვის წიგნი

თვით-მასწავლებელი 128 ნახატით, ახალი მეთოდი. ექვსი ნაწილი: ქართული, იმერული, ევროპიული, თეთრეული მანდილოსანთ და ბავშვთათვის. ჟურნალების მოხმარება შედგენილი და გამოც. **სოფიო ი. სიმონოვის მიერ.** ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მან. 50 კ. ვინც ათზე მეტს იყიდის ფოსტის გასაგზავნი არ გადახდება. წიგნის გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც.

მისამართი; Телавъ, школа кройки и шитья Соф. Іос. Симоновой. Бульварны пер., 2, соб. д. (100—1231—32)

ინჟენერი
ი. ს კონდოევი,
რკინის კოჭები,
საქვაბე რკინები,
საკუთხე რკინები,
სახურავების რკინები.
(შავი და ცინკნარევი.)
საშენებელი აგურები საკუთარ აგურხანიდან ვაკეზე.

ტფილისი.
ელისაბედის ქ., 164.
ზაქოს ქ. კუთხე.

ცემენტი
ასფალტი, გუდრონი, ცეცხლის მძლე აგური და თიხა, ლურსმულობა, „заклейки“, გულცარიელი აგური და კრამიტი და სხ., საშ. მასალა.

ტელეფონი:
კანტორისა № 10—93
აგურხანისა № 11—96.

(25.1474.1)

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი
საკომერციო ცოდნათა კურსები
ტ. მ. ფილოიანისა,
(ტფილისი, მიხეილის პროსპექტი, სახლი № 24—4, ტელეფ. 976).

სპეციალური საკომერციო განათლება ვაჟების და ქალებისათვის. კურსის დამთავრ. შემდეგ მოწაფეებს ეძლევათ ატესტატი. პრაქტიკული მეცადინეობა ისეა მოწყობილი, როგორც Pitmau-ის სასწავლებელში (ლონდონში) და Pigi-ის (პარიზში), Muster comtoir-ში. მასალები რეალურ ცხოვრებიდან აიღება:

საგნები: ა) სავალდებ.: 1) ბუხჰალტერია (უბრალო, იტალიური, გერმანული, ფრანგული, ამერიკული, საბანკო და საფაბრიკო-საქარხნო; 2) კომერციული არითმეტიკა. 3) პოლიტიკური ეკონომია. 4) კანონები (სავაჭრო უფლება, სავექსილო წესდება). 5) კომერციული კორესპონდენცია. 6) არითმეტიკა ჩოთქზე 7) კალიგრაფია, სწორი წერა, ხელის გასწორება. ბ) არა სავალდებულო: 1. **უცხო ენები.** 2) სტენოგრაფია. 3) დაქტილოგრაფია (რემინგტონი და სხვა) და 4) კომერციული კორესპონდენცია უცხო ენებზე.

მეცადინეობა შეიძლება აგრეთვე თითოეულად. თხოვნები მიიღება 10—12 ს., დილით და 4—7 ს, სალამ. მეცადინეობა დაიწყება 15 ენკენისთვიიდან. პროგრამები და წესები მიეცემათ და გაეგზავნებათ მსურველებს უფასოდ კურსების სადგომიდან. კურსები კარგ მოწაფეთათვის მეცადინეობენ სავაჭრო სახლებში ალაგის საშოვნელად. მიმდინარე წელს სულ 224 მსმენელი იყო, ამათგან 42 ქალი. (ტ. 1451.4)

არ გაგონილა! მხოლოდ 2 მან. 95 კაპ.



ვგზავნით აქ ჩამოთვლილ ძვირფას 14 ნივთს: 1. მშვენიერ მკვიდრ უბის საათს კაცთათვის — „ანკერ“ (და არა ცილინდრი) ინგლისურ შავ-ფოლადისა. იმართება თავით 36 საათში ერთხელ, ხმა წკრიალო აქვს, 15 ქვიანია. 2. ქალთ. საუცხოვო ყელის ძეწკვი. ახალი ფასონისა. 3. ბრელოკი - კინემატოგრაფი კომპასით, ან საუცხოო სანახავებით. 4. ზამშის ბუდე საათისათვის. 5. მოხდენილი ბეჭედი ამერიკულ ოქროსი „დუბლე“, პარიზულის ქვ თ. 6. სთეატრო ბინოკლი 4 ახრომტიულ შუშით ჩვეულებრივის ზომისა, რომელიც დიდის მანძილიდან ახლოვებს საგნებს. 7. საათის უზრუნველმყოფელი ქურდებისაგან. 8. პარიზის პლასტოგრაფი, ზედმიწევნით მაჩვენებელია სხვა და სხვა სანახაობისა. 9—14 ექვსი მეტის-მეტად სიგულისხმო სურათი. სულ ეს ღირს მხოლოდ 2 მ. 95 კ., ორი წყება 5 მ. 50 კ., 4 წყება—10 მ. 50 კ. ესენივე სახურავიან საათით 1 მანეთით **მეტი ღირს.** ხსენებული წყება საათით და ნივთებით საუკეთესო ღირსებისა და უმაღლესი ხარისხისა—3 მ. 95 კ., ორი წყება—7 მ. 40 კ. გასაგზავნი ორ წყებამდე—40 კ. (ციმბირში 75 კ.) საათსა ვგზავნით შემოწმებულ-შესწორებულს წუთი-წუთზე 8 წლის თავდებობით, ფასდადებით და უბეოდ. მ ი ს ა მ ა რ თ ი:

Т-во „ЗАРЯ“ ВАРШАВА, ОТД. 116.

ეს მისამართი ამოსჭერით და კონვერტს ან ღია წერილს დააკარით.

Метцль. 44387. (2.1460.1)

ხელოვნურად შეზავებული
სამკურნალო და ხილეულობის წყალი
მიტროფანე ლაღიძე და ამხსა.

მზადდება საუკეთესო ხილეულის - წვენისაგან, წმინდა შაქრით, ქიმიურად გაწმენდილი მასალებისაგან, გამოხდილი და ნადუღი წყლით.

გემო და სუნი საამური აქვს.

ფირმა დაჯილდოვებულია წყლის საუკეთესო ღირსებისათვის დიდოქროსა და ვერცხლის მედლებით და ცნობილია სრულიად უვნებლად ტფილისის გუბერნიის სამკურნალო მართველობისაგან № 5792.

ქარხნები იმყოფება: **ტფილისში, გოლოვინის პროსპ. № 5 ტელეფონი № 411, ქუთაისში— პუშკინის ქუჩა № 6.**
(25.1407.8)

ვაჭრობა-მრეწველობის უწყებაში მყოფი
ბუხჰალტრიის პრაქტიკული კურსები და კომერციული ანგარიში
ი. ფ. კალატნიკოვისა,
(ტფილისი, მიხეილის ქუჩა, 132).

1912—13 წლის სემესტრში ქალ-ვაჟთ შეუძლიანთ მიღების თხოვნა შემოიტანონ და ჩაეწერნენ ყოველ დღე დილის 10 საათიდან სალამოს 9 საათამდე. მეცადინეობა 15 სექტემბერს დაიწყება.

კურსებზე ორივე სქესის მსმენელნი იძენენ საფუძვლიანსა და სრულიად დამთავრებულ მომზადებას, კანტორა ბუხჰალტერიისა და საალებ-მიცემო მიწერ-მოწერის დამოუკიდებლად საწარმოებლად.

კურსებზე შემსვლელნი საფუძვლიანად სწავლობენ: 1. **ბუხჰალტერიას** უბრალოს, ორმაგს, იტალიურს, გერმანულს, ამერიკულსა, ფრანგულსა და ახალ რუსულს (ყველა სისტემის შესასწავლად სავალდებულოა პრაქტიკული მუშაობა) 2) **ანგარიშების წარმოებას:** საზოგადოდ საალებ-მიცემოს, საბანკოს, საქარხნოს, საზოგადოს, სასოფლო-მეურნეობისას, ქალაქისას და ერობისას. 2 საკომერციო არითმეტიკას, 3. სავაჭრო უფლებას, 4) თამასუქების უფლებას, 5) საალებ-მიცემო მიწერ-მოწერას, 6) ანგარიშს საანგარიშო ჩოთქზე. 7) ლამაზსა და სწორ წერას (კალიგრაფიას , 8) საწერ მანქანის ხმარებას, 9) რუსულ ენას,10) არითმეტიკას, 11) **უცხო ენებს:** ინგლისურს, ფრანგულსა და გერმანულს, 12) უცხო ენებზე საალებ-მიცემო მიწერ-მოწერას.

რუსულსა და არითმეტიკის მსმენელთ უფასოდ ასწავლიან.

მასწავლებლებად მოწვეულნი არიან უმაღლეს სწავლა მიღებული სპეციალისტები. კურსების წესდება და პროგრამა მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ. (25—1447—5)

სავაჭრო და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი
ნ. ვ. აბრაამიანის საბუღალტრო კურსები
(არსებობს 1895 წ.)

ავტორი „ბუღჰალტერიის სახელმძღვანელოსი“, რომელიც მოწონებულია ვაჭრ. და მრეწ. სამინისტროს მიერ.

ორივე სქესისათვის **კურსი 4 თვისაა** ყოველ-დღიური მეცადინეობით.

სწავლა იწყება 15 სექტემბერს, 1912 წ. კურსებზე ასწავლიან ბუღჰალტერიისა და სხვა სავაჭრო ცოდნათა საგნებს მრეწველობის სხვა დ სხვა დარგიდან, მაზუთისა და ნავთის მრეწველობაზე—ყოველ ნაირ წესით. დახელოვნება ორმაგ იტალიურ სისტემაში. კომერც. არითმეტიკა, კომერც. მიწერ-მოწერა, სავაჭრო უფლება, სავექსილო წესდება, პოლიტიკური ეკონომია, არითმეტიკა ჩოთქზე, ლამაზი წერვა, ხელის გასწორება, მსურველთათვის **უცხო ენები**, სტენოგრაფია დ რემინგტონ. **მასწავლებელნი**—სპეციალისტნი უმაღლეს სწავლით, პრაქტიკულად და თეორეტიულად ყოველ ცალკე საგანში მომზადებულნი. **ატესტატები** სამინისტროს ნებართვით. პროგრამები და წესები უფასოდ ეძლევათ. თხოვნები მიიღება ყოველ დღე 9—11 საათამდე და 5—7 საათამდე.

ნაკლებ მომზადებულთათვის კურსებთან არსებობს მოსამზადებელი განყოფილება რუსულ ენისა და ანგარიშისა.

წერილობით და პირადად მიჰმართეთ კურსების დამაარსებელს: ნიკოლოზის ქ., 22, საკუთ. სახლი. **ტელეფ. № 744.** (ტ. 1450 3)

გამოსულია და იყიდება
არჩილ ჯორჯაძის თხზულებანი:

I ტ.	„ეროვნულ პრობლემის გარშემო“ ფასი „ „ „	75 კ.
II „	„ჩვენი საზოგადოებრივობა „ „ „ „ „	80 კ.
III „	„ნააზრევი“ „ „ „ „ „ „ „ „	65 კ.
IV „	წერილები „ცნობის ფურც.“-„მოამბ.“ 1901—1902 წ. „	85 კ.

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში
ისყიდება შემდეგი სახელმძღვანელოები:

ჩვენი მწერლობა, (მგოსნები), ს. გორგაძე . . . ფასი	50 კ.
გუთანი, ოჯახში და სკოლაში საკითხავი	85 „
მოძრავი ანბანი—კარდონზე	30 „
ანბანი კუბიკებზე . .	1 მ.—
წყარო, ა. ქუთათ. მოსამზადებ. კლ, II, ...	50 „
წყარო, იმსივე, ანბანი და პირველ საკითხავი . . .	25 „
არითმეტიკული კრებული ხრამელაშვილისა I, ყდით .	40 „
იგივე ნაწილი II, ყდით .	50 „
მოკლე სახელმძღვანელო საზოგად. გეოგრაფ.—აზია, აფრიკა, ამერიკა და ავსტრალია	35 „
მოკლე სახელმძღვ. საზოგად. გეოგრაფიისა, ევროპა . .	35 „
მოკლე საუბარი, თუ როგორ უნდა ისწავლებოდეს პირ.-დაწყებ. კარი გეოგრაფ. ალ. ჭიჭ.	20 „
ფიზიკური გეოგრაფია . .	20 „
ქართ. წმინდანები, სასულიერ. სასწავლებლებისთვის იოსელ.	50 „
ყუბანეიშვილი. პირ.-დაწყ. სწავლება საღვთო სჯულზე, ყდ.	30 „
ახალი აღთქ. სამღ. ისტ., მისივე	40 „
ძველ. აღქმ. სამღ. ისტ. მისივე	50 „
ქართ. წერ. რვეულ. წ. კ. გამოცემა წყვილი	5 „
ათასამდე ყოველი ასის ფასი 2 მ.	40 „
ათასზე მეტი ყოველი ასი 2 მ.	30 კ.

ადრესი: Тифлисъ, О-во распр. Гр. ср. гр. насел. (წ. 1141.110)

ცინკოგრაფია
ქართველთა გამომცემელ ამხანაგობისა კისრულობს ყოველგვარ
კლიშეების დამზადებას,
საქმეს ასრულებს დროზე სუფთად და ხელმისაწვდენ ფასად.
ტფილისი, ვანქის დიდი ქუჩა, № 12. (თ.—1307.23)

[illegible]

ე. ა. ცატუროვის დეპოში

მიღებულია დიდძალი ნაირ-ნაირი შპალიერი, ახალ სახიანი

რუსეთისა და საზღვარგარეთის საუკეთესო ქარხნებისა.

ფასები 8 კ—დან თოფი (სრულ ზომიანი) აუარებელ ხარისხისა.

ნიმუშებს ვგზავნით პირველ მოთხოვნილებისათანავე.

ტფილისი, სასახლის ქუჩა, ტელეფონი № 238.
(40—1400—14)

სნეულნო
უფრთხილდით სიყალბეს!

რადგანაც „**სპერმინის**“ იაფ-ფასიან მიბაძულებას ავრცელებენ, რომელსაც მასთან საერთო არა აქვს რა და ხშირად ურევია ჯანისათვის მავნებელი ნივთიერება.

ნერვების სისუსტისა, სქესობრივ უილაჯობისა, მოხუცებულების დაჩაჩანაკებისა, სევდის ქარისა, ნერვალოგიისა, სისხლ-ნაკლულობისა, ჭლექისა, ათაშანგისა, ვარდის წყლით წამლობის შედეგისა, გულის სნეულებისა (გულის ქონი, გულის ფრიალი, გულის სისუსტე და სხვა), **ძარღვების დადუნებისა, ალკოჰოლიზმი, ხერხემლის გახმობისა, სიდამბლისა, სნეულებათაგან წარმოშობილ სისუსტისა, გონებრივ დაქანცულობისა** და **სხვა სნეულების დროს,** მხოლოდ „სპერმინ - პელა“ აღწევს იმ ბრწყინვალე შედეგამდე, რასაც ღაღადებენ მთელი ქვეყნის მეცნიერნი და მკურნალნი.

ყურადღება უნდა მიაქციოთ სახელწოდებას:

სპერმინ-პელა

და არ მისდიოთ მალამოებსა დ სხვა და სხვა სახელწოდების სიტყვს, რომელთა უღირსობის შესახებ გამოცემულია საგანგებო ბროშურა, რომელიც უფასოდ ეგზავნება ყველას, **სპერმინის** თამბაზე დაბეჭდილ ახალ წერილებთან ერთად.

ОРГАНОТЕРАПЕВТИЧЕСКІЙ ИНСТИТУТЪ
ПРОФЕССОРЪ Д-РЪ ПЕЛЬ и С-ЬЯ
ПОСТАВЩИКИ ДВОРА
ЕГО ИМПЕРАТОРСК. ВЕЛИЧЕСТВА
С.ПЕТЕРБУРГЪ
В.О. 7 ЛИНІЯ 18.

ОРГАНОТЕРАПЕВТИЧЕСКІЙ ИНСТ
ПРОФЕССОРА
ДОКТОРА ПЕЛЯ и СЫНОВЕЙ
С.ПЕТЕРБУРГЪ
ESSENTIA
SPERMINI-POEHL
TONICUM
PHYSIOLOGICUM
S.PETERSBOURG
RUSSIE.
Prof. DR. DE POEHL

Метцль. № 68398. (12.1208.12)

1912 წ. ეიიღება ხელის მოწერა
დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ
„ნაკადულ“-ზე
წელიწადი მერვე.

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით, მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

24 **წიგნი** „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის; 12 **წიგნი** „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.

საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს
დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინალური იგავ-არაკი ალ. მირიანაშვილისა.

ფასი ჟურნალისა; წლიურად ორივე გამოცემა 5 მან., ნახევარ წლით—3 მან. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 მან. მოზრდილთათვის 12 წ. 3 მ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილების სახ. Готовинскій просп. д. № 8 და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. **ქუთაისში:** ისიდორე კვიცარიძესთან, თ. მთავრიშვილთან, მარიამ ყაუხჩიშვილთან და „ნაკადულის“ აგენტებთან; **სამტრედიაში**—ივანე გლადკოვთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტრაფიმ ინასარიძესთან, **დ. ხონში**—ეკატერინე ვასილიასულ ბაჩტაძესთან, **ოზურგეთში**—ლეო იმნაძესთან, **თელავში**—ვანო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასილ ახვლედიანთან და ივანე ელიაშვილთან, **გორში** ნინო ლომაურთან და ქ-ნ ჯავახიშვილთან, **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, **ჭიათურაში**—ივანე გომელაურთან, **განჯაში** ბ. ამბოქაძესთან და **ერევანში** კ. ოდიშარიასთან. **ყარსში**—ფერშალ ვანო საათაშვილთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.**
(წ.—1393—100 წ.) გამომცემელი **თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.**

მიიღეთ მარიამობისთვის
შვედური და დელიკატესნი კილკები.

თევზის მრეწველნი
მმ. ძმებელოვები.

პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 712.

ბოჭკის საუკეთესო
ხიზილალა,
გირვანქა 1 მ. 60 კ.
აგრეთვე მოგვდის ცოცხალი
ლოქო
და კობრი, საზანი.

(წ.1131.241)

ტფილისი, მუხრანსქუჩა№ 12, სტამბა „შრომა“.